

**განუხრელად დავისავთ
სამშობლოს, ეკლესიას და
ეროვნულ თავისუფლებას!**

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება

**რუსული დიპლომატია
საქართველოში
რამდენიმე
კურდღლის
დასაჭერად
აქოთქოთდა!**

ნ. 4 გ3.

ბიძინა ივანიშვილი:
თანაგრძნობას ვუცხადებთ კათოლიკეებს საქართველოსა და მთელ მსოფლიოში რომის პაპის **ფრანცისკან** გარდაცვალების გამო.

* * *

რომის პაპის გარდაცვალების გამო სამძიმარი გამოთქვას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და თბილისის მერმა.

პაპა ნაცვლიშვილი:
**ორი შეხვედრა
რომის პაპთან**



**თბილისის სასობების
ეკონომიკური ზარალის
მასშტაბები უკვე
ასეულობით ④
მილიონი ლარია**

სახელოვანი მამულიშვილების არღვევა

**პეტრე ბერაიას
გამოსათხოვარი**

ვასტანგ ჯანაძეა
სანიშნო კასოვით
და უბრალოებით
გამორჩეული ისტორიკოსი



**მსოფლიოს
დიდი ხელოვანი
მოუკვდა**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მხატვარი და მოქანდაკე, მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, იუნესკოს კეთილი ნების ელჩი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ზურაბ წერეთელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და მთელ ქართველ საზოგადოებას.

ნათელა ლაღიძე ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი მხატვრის და მოქანდაკის, იუნესკოს კეთილი ნების ელჩის, დიდი მამულიშვილისა და დიდი მეგობრის

ზურაბ წერეთლის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს და მთელ საქართველოს.

ლუიზა და როინ მეტრეველები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი, აკადემიკოსი

ზურაბ წერეთელი

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ქალიშვილს და მთელ ოჯახს.

**ზურაბ წერეთელს დიდუბის
პანთეონში დაკრძალავენ**

ცნობილ ქართველ მოქანდაკეს ზურაბ წერეთელს თბილისში, დიდუბის პანთეონში მეუღლის ინესა ანდრონიკაშვილის გვერდით დაკრძალავენ, – განაცხადა მოქანდაკის შვილიშვილმა ვალის წერეთელმა.

წერეთელთან გამოსამშვიდოებელი პანაშვიდი მოსკოვის მაცხოვრის საკათედრო ტაძარში ოთხშაბათს ჩატარდება. ზურაბ წერეთელი გუშინ 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მეორე გენერალური მდივანი:

**სტაბილურობა საქართველოში არის
სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი
როგორც ხალხისთვის, ისე მთლიანად
რეგიონის უსაფრთხოებისთვის**



სტაბილურობა საქართველოში არის
სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როგორც
ქართველი ხალხისთვის, ასევე მთლიანად
რეგიონის ინტერესებისათვის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარე-

ზისთვის, – ამის შესახებ საქართველოში ვი-
ზიტით მყოფმა ეუთოს გენერალურმა მდი-
ვანმა **ფაჩიძუნ სინილიძელმა** საქარ-
თველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში
გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო მამა, ქალბატონო მინისტრო.“

მადლობას გიხდით თქვენი სტუმართმოყვარეობისთვის. ძალიან მიხარია, რომ დღეს თბილისში ვიმყოფები. ეს გახლავთ ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში ეუთოს გენერალური მდივნის პოსტზე. მე, რა თქმა უნდა, ერთგულად ვემსახურები ყველა იმ ქვეყნის ინტერესს, რომელიც ჩვენი ორგანიზაციის წევრები არიან.

მინდა, საბო გავუსვა, რომ ეუთო საკმაოდ დაინტერესებულია და ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს, ამ რეგიონის ყველა ქვეყანას. ინციდენტების პრევენციის მექანიზმი ფაქტობრივად უკვე 16 წლისაა. ეუთო გახლავთ ორგანიზაცია, რომელმაც დაამტკიცა, რაოდენ მნიშვნელოვანია დიპლომატიის წარმოება, განსაკუთრებით იმ რეგიონებში და ქვეყნებში, რომლებშიც კონფლიქტის მდგომარეობაში იმყოფებიან.

ჩვენ გვაქვს მედიაციის მრავალმხრივი საშუალებები, რომლებსაც ვიყენებთ მსგავს შემთხვევებში და უწყვეტად ვცდილობთ, ჩავეერთოთ კონფლიქტების რეგულირების საქმეში. სტამბილურობა საქართველოში არის სასიცოცხლო მნიშვნელოვანი როგორც ქართველი ხალხისთვის, ასევე მთლიანად რეგიონის ინტერესებისათვის, უსაფრთხოებისა და სტამბილურობის დამყარებისთვის. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვმუშაობთ საქართველოსთან ერთად ათეული წლების განმავლობაში.

კიდევ ერთხელ მიიღა, ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ გვსურს, საქართველოს დავუშუბტუიოთ, რომ მონოღებულნი ვართ, ჩავერთოთ საქართველოში უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ყველანაირი თვალსაზრისით, ყველა იმ საშუალებით, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას აქვს", – განაცხადა ფერდინანდ სინიროლიძემ.

**ეუთოს გენერალური
მდივნის საქართველოში**

**პიზიტიზა
ოპოზიციია
ისტერიკაში
ჩააბდო!**

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის **გიორგი ვოლსკის** შეფასებით, ეუთოს გენერალური მდივნის სტუმრობამ მათი ოპონენტები ისტერიკაში ჩააგდო.



„პრაქტიკულად ისტერიკის მდგომარეობაში ავდებს ოპოზიციას. ეს ცუდი, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ რეალობას ვერ აღიქვამენ პოლიტიკურ სუბიექტებად წოდებული ადამიანები, ადამიანთა გაერთიანებები. ღა მეორე, იმიტომ არის ცუდი, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის თემა კვლავ დღის წესრიგშია.“

რაღაცამ ხომ უნდა დაუსვას ამას წერტილი და ჩამოსვლა ამ დონის ადამიანის საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამას წერტილი დაესვას და თუკი ვინმე ფიქრობს პოლიტიკურ ველზე საკუთარი სუბიექტის შენარჩუნებას, რასაკვირველია, პროცესებში უნდა მიიღოს მონაწილეობა. არა დამნაშავეები, არა რეგულაციები, არამედ პოლიტიკურ პროცესებში....

**ლევან დავითაშვილი და ნათია თურნავა
აუზ-ში სპარტაშორისო სავალუტო
ფონდისა და მსოფლიო ბანკის
საგაზაფხულო შეხვედრაზე მონაწილეობენ**

დედგაგაგის ნაგრაგს შორის არიან პირ-
ველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვი-**
ლი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა**
ხუციშვილი, სგმ-ის ვიცე-პრეზიდენტები **ეკა-**
ტარინე მიაგაძე და **ეკატერინე გალდავა**.

ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია შეხვედრებს გამართავს საერთაშორისო საგაულუტო ფონდის ცენტრალური აზიისა და შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორთან ჯიჰად აზურთან, სსფ-ის მმართველი დირექტორის მოადგილესთან, ბო ლისთან და საქართველოში სსფ-ის მისიის ხელმძღვანელთან ალექსანდრო ჰაუდენ-ბერტთან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი შეხვედრას გამართავს თავის თურქ კოლეგასთან, თურქეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტ ფათიხ კარანთან. ასევე, შეხვედრას ყაზახეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ტიმურ სულეიმინოვმა. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აშშ-ის ფედერალური სარეგერო სისტემის (FED) წარმომადგენლებს შეხვდება. შეხვედრები გაიმართება ამერიკული საინვესტიციო კომპანიების – J.P. Morgan-ისა და Bank of America-ს ინვესტორებთან, სადაც ნათია თურნავა პრეზენტაციით წარუდგება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ საგამაფხელო შეხვედრებში მონაწილეობენ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მმართველეები და ალტერნატიული მმართველები, ასევე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საფინანსო სექტორის წარმომადგენლები. მონაწილეები განიხილავენ გლობალური მნიშვნელობის საკითხებს, მათ შორის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივებს, სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკის განვითარებისა და დახმარების ეფექტურობის, ასევე, კომერუსფორტიზაციისა და ფინანსური ტექნოლოგიების თემებს.



აზხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილმა, დროებით ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ საბერიოში ხანძრის შედეგად დაღუპული ბავშვების მშობლებს სახლი გადასცა.

მთავრობის თავმჯდომარე პირადად შეხვდა ჭოლარიების ოჯახის წევრებს, კიდევ ერთხელ მიუსამიძრა და თანდღომა გამოუცხადა. შეხვედრამ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული **დავით ვერაფა**, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველი **მაშუკა ცოტიაშვილი**, საქართველოს პარლამენტის წევრი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სახლის შეძენა ზუგდიდის მუნიციპალიტე-

**საბერძნო
ბარდასვლილი
ბავშვების
მშობლებს
სოფელ კოკში
სასხოვრებელი
სახლი გადაეცათ**

ტის სოფელ კოკში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ჩართულობით განხორციელდა. ასევე კერძო კომპანიების მხარდაჭერით დაზარალებულ მოსახლეს საოჯახო ტექნიკა გადაეცა.

ჭოლარიების ოჯახში ტრავიკული შემთხვევა მოქონიარე წლის 5 იანვარს მოხდა. ღროებითი ოპერირებელი გალის რაიონის სოფელსამეროში, სახლში გაჩენილ ხანძარს 5 მცირეწლოვანი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავტოქოლემს.



ქიდეხ ეართი ლამაზი სკვერი გლდანუი

თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური გლდანის რაიონში, 11 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე რეკრეაციულ სივრცეს აწყობს. სამუშაოები მე-8 მიკრორაიონში, N28-33 კორპუსების მიმდებარედ ხორციელდება.


რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულებულია. 8 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე რეკონსტრუქციული სივრცე უკვე განახლდა, ხოლო დარჩენილ 3 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე სამუშაოები ამაჟამად მიმდინარეობს.





განუხრელად დავიცავთ სამშობლოს, ეკლესიას და ეროვნულ თავისუფლებას!

21 აპრილს „ქართული ოცნების“ დაფუძნებიდან 13 წელი შესრულდა. 2012 წლის 21 აპრილს გიმინა ივანიშვილმა შექმნა პოლიტიკური გაერთიანება და უმძიმეს პერიოდში, საკუთარი და ოპოზიციის სიმცხის რისკის ფასად, გადაწყვიტა გზით გაეშვა და დაეფუძნა დამოუკიდებელი ოპოზიციური პარტია.



ბაგრატიონის აბატონი



ზესტაფონის სანაოსნო
ტანკის გზის გადართობის
და დასრულების პროექტი



თბილისის თავისუფლების
საფარი



ბაგრატიონის მეტროს
სადგომი



საპარლამენტო
სახლი

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება

პარტიის შედეგად, „ქართული ოცნების“ პარტიის, საქართველოს მთავრობის დაფუძნების და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპების, ადამიანის ძირითად უფლებების და თავისუფლების განცხადება და შედეგად განვითარების წინააღმდეგობა დადგა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის საქართველოს პირველი ხელისუფლება და მოქალაქეების აღდგენის შემდეგ, რომლის პირობებში ქვეყანას ომი არ ჰქონია. ამასთან, უწყვეტი მშვიდობა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში შეინარჩუნა. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული იყო გასული 3 წელიწადი, როდესაც საქართველოს მეორე ფრონტად ქვეყნის პირდაპირი საფრთხე შეექმნა, თუმცა, უმძიმესი გეოლოგიური და პანტაჟის მიუხედავად, ხელისუფლება ამ გამოწვევასაც ღირსეულად გაუმკლავდა და უმკლავდებოდა, საზოგადოება კი ხედავს, რომ ვერაფრითარა მუქარა და პანტაჟი, ვერაფრითარა საფრთხე და განცხადებები ვერ აიძულებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, საქართველო ომის ქარცეცხლში გახვიოს, რაც ჩვენს ქვეყანას განადგურებას მოუტანდა.

2012 წელს, უმძიმესი დემოკრატიული უკუსვლის 9-წლიანი პერიოდი უწყვეტად დემოკრატიულმა წინსვლამ ჩაანაცვლა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ 2012 წლის 1 ოქტომბერს წარსულს ჩააბარა უმძიმესი ავტორიტარული რეჟიმი, არადემოკრატიული კონსტიტუცია, არჩევნების გაყალბება, ადამიანების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა, ზიზნის რეჟიმი, მონოპოლიზებული მედია, პოლიტიკური კონტროლის დამორჩილებული სასამართლო და უამრავი სხვა მანკიერება.

დღეს საქართველოში დაცულია ადამიანის უფლებები, ქვეყანას აქვს დემოკრატიული კონსტიტუცია, ტარდება საპარლამენტო არჩევნები, აღიკვეთა ადამიანური მოპყრობა, გიგანტური თავისუფალია, როგორც არასდროს, დაცულია სასამართლოს დამოუკიდებლობა, უზრუნველყოფილია მედიაციური სისტემა.

საქართველო ეკონომიკური განვითარების სწრაფ გზას დადგა. 2012 წლის შემდეგ, ქართული ეკონომიკის ორ გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ კრიზისთან მოუწია გამკლავება. თუმცა, რეალური ეკონომიკური თავისუფლების დამკვიდრების, გიგანტური რეკონსტრუქციის და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, საქართველომ სირთულეები წარმატებით დაძლია და ქვეყნის ეკონომიკა გაასამშავა. გასული 4 წლის


განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 9,7 პროცენტით იზარდებოდა, რაც რეგიონში და ევროპაში საუკეთესო მაჩვენებელია. უკვე წელს, საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე 10 ათას ლოლარს გადააჭარბებს, ხოლო საერთაშორისო საავტოტო ფონდის პროგნოზის თანახმად, 2030 წლისთვის 13 500 ლოლარს მიაღწევს და საქართველო მაღალშემოსავლიან ქვეყნებს შორის გადაინაცვლებს. ლარის კურსი საიმედოდ სტაბილურია, 60-დან 36,4 პროცენტამდე შემცირდა ქვეყნის საგარეო ვალი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2012 წლის შემდეგ საქართველოში სამჯერ შემცირდა სიღარიბის მაჩვენებელი და 700 ათასამდე ადამიანი დაძლია სიღარიბე.

2012 წლიდან ფუნდამენტურად შეიცვალა სახელმწიფოს მიდგომა სოციალური პოლიტიკისადმი. დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, არსებითად გაფართოვდა სოციალური დახმარების პაკეტი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, აღიკვეთა სოციალური დახმარების პოლიტიკური ინტერესების მიხედვით განაწილების პრაქტიკა.

საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე ყველა ხელშეწყობა პროგრესის სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მიაღწია. სწორედ 2012 წლის შემდეგ მოაწერა ხელი ქვეყანამ ასოცირების ხელშეკრულებას და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას და მიიღო უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. ბრძოლით მოვიპოვეთ კანდიდატის სტატუსი, რომელიც საქართველოს არაკეთილმოწყობის და მათი კარნახით მოქმედ ევროპულ ბიუროკრატია საქართველოს წინააღმდეგ პანტაჟის ინსტრუმენტად ჰქონდათ მოაზრებული. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ბიუროკრატია დღესაც საქართველოს პანტაჟითა და ხელისუფლებაში არადემოკრატიული ძალების დამხრების მცდელობით არის დაკავებული, საზოგადოებას ვაძლევთ პირობას, რომ ჩვენი პოლიტიკური გუნდი ყველა გამოწვევას ღირსეულად გაუმკლავდება და საქართველო 2030 წლისთვის დაანონსებულ ევროკავშირის გაფართოებას ყველა კანდიდატ ქვეყანაზე უკეთ მომზადებული შეხვედრება. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ დროისთვის, ბრიუსელის დღევანდელი ბიუროკრატია ღირსეული, დამოუკიდებელი და ევროკავშირისა და ევროპის მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკური ელიტი ჩაანაცვლდება.

საქართველო დღეს არის დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს. ხელისუფლებას ვეძარაწინ კარნახობს და აიძულებს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოქმედებს სა-


ქართველოს ეროვნული ინტერესების კარნახით და ამ ინტერესების ხარჯზე კომპრომისს არასოდეს დაუშვებს, მომავალშიც განუხრელად დავიცავს სამშობლოს, ეკლესიას და ეროვნულ ფასეულობებს!




ბაგატი-შენიერისწყლის
დაბაჰაზირებადი ხიდი



ქუთაისის საერთაშორისო
შენიერისწყალი



შეგნების
დინამიკური პარკი



„ბლუმს არენა“



თბილისი-საბურთალოს
გზის რეკონსტრუქცია

13 წელი... როცა ცამეტი თარსი კი არა, ქალიან, ქალიან, ქალიან კარგი რიცხვია!

რუსული დიპლომატია საქართველოში რამდენიმე კურდღლის დასაჭერად აქოთქოთდა!



ერთ კვირაში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე მზადყოფნა გამოთქვა. რუსები აღიარებენ, რომ იმდენად შორს წავლენ, რამდენადაც ამისთვის საქართველოს ხელისუფლება იძულება მზად. თუმცა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღების გარეშე.

„მზად ვართ საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენისთვის, იმდენად შორს წავალთ, რამდენად მზად არის თბილისი. 2024 წელს საქართველოს მხრიდან უდავოდ პოზიტიური სიგნალები გაუდგრა, კონკრეტულად, მოდიშის მოხდის საჭიროებაზე. ვიმედოვნებთ, რომ ისინი (სიგნალები) საქართველოს აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის კონკრეტულ ნაბიჯებში განხორციელდება.“

დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა რუსეთის გამო არ მომხდარა, არამედ ამაში დამნაშავეა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მამინდელი რეჟიმი. მზად ვართ მათი აღდგენისთვის, მზად ვართ იმდენად შორს წავიდეთ, რამდენად შორს წასვლისთვისაც მზად არის ქართული მხარე. შეზღუდვები ჩვენთვის აქ არ არის.

ამისთვის (თანამშრომლობისთვის) დიდი შესაძლებლობებია. და საქართველოსთვის რუსეთი საკვანძო პარტნიორია. რჩება ბევრი მიმართულებით, კერძოდ ღვინის პროდუქციის მხრივ, ხილეულის მხრივ. მეორე მხრივ, რუსეთი საქართველოში ენერგეტიკისა და მარცვლეულის წამყვანი მიმწოდებელია“, – ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა.



მანამდე კი იგივე სახის განცხადებები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხაილ გალუშინმა გააკეთეს.

პესკოვი აცხადებს, რომ რუსეთი მზად არის საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის ნაბიჯების გადასადგმელად, თუმცა არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისთვის დადგენილი რაიმე ზუსტი ვადები.

რაც შეეხება მიხაილ გალუშინს, მან „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობების განახლებისთვის მზადყოფნა გამოთქვა და აღნიშნა, რომ არ არის საჭირო ამ საკითხის „დაკავშირება“ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გადაწყვეტილებასთან.

საქართველოს ხელისუფლება კი საპასუხოდ აცხადებს, რომ თბილისიც მზად არის მოსკოვთან ურთიერთობებისთვის, თუკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხდება. მმართველი გუნდიდან რუს „კეთილისმსურველებს“ უთვლიან, რომ თავად უნდა იყვნენ მზად ქართველების პირობის მისაღებად.



„შეუძლებელია საუბარი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე ოკუპაციის პირობებში. თუ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ამ შემთხვევაში, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ლოგიკური იქნება. ჩვენ გვაქვს ჩვენი პრინციპები. ეროვნული ინტერესების დაცვა გარკვეულ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამართლებრივად ჩვენი შუქილია საუბარი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე ოკუპაციის პირობებში.“

დღეს რუსეთის ფედერაციას აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიების დაახლოებით 20% და ამ ვითარებაში დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ლოგიკური იქნება.

ლომატიური ურთიერთობების აღდგენა ნიშნავს გარკვეული ფორმით შეგუებას იმ მოცულობასთან, რომ შენი ტერიტორიების ნაწილად ამ სახელმწიფოს მხრიდან არ მიიჩნევა შენი ისტორიული რეგიონები. მთავარი პრინციპი არის ოკუპაცია. ბუნებრივია, ოკუპაციის თუ გვერდზე გადავდებთ, ყველაფერზე შეიძლება საუბარი. თუ აღდგება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ამ შემთხვევაში დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ლოგიკური იქნება.


რაც შეეხება იმ მოცულობას, როცა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა არის დარღვეული და არის ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების 20%, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე. ჩვენთვის ნათელი ხაზია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი“, – ეს კი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის პასუხია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ყოფილი უფროსი და გენერალი მასხანაძე პაპუნაძე for.ge-თან ამბობს, რომ რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენა სურს, ოღონდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გარეშე. შესაბამისად, ბოლო დროს, მათი მხრიდან გახშირებული განცხადებები ურთიერთობის აღდგენაზე ამასთან არის დაკავშირებული. ისინი სინჯავენ ნიშნებს, სადა მდებარეობს რაზეა წამსვლელი საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი. ეს არის ჩვეულებრივი რუსული პოლიტიკის ხელნერა.

„რუსებს ახლა საქართველო ძალიან სჭირდება, როგორც სამხრეთ კავკასიაში პოზიციების აღდგენისთვის და გაძლიერებისთვის, ასევე პროპაგანდის კუთხითაც. საქართველოს ხელისუფლებას უსინჯავენ პირს, რაზე და სადამდეა წამსვლელი. მათი სურვილია, რომ ეს ურთიერთობის აღდგენა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე მოხდეს. საქართველო ძალიან კარგი მაგალი-

თი იქნება იმ რესპუბლიკებისთვის, რომლებიც რუსეთის მიმართ გარკვეულ სკეპტიციზმს გამოხატავენ. საქართველო იქნება იდეალური მაგალითი მათთვის, რომ აი, ევროპის გზაზე მიმავალმა საქართველომ მათ ზურგი აქცია და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა დაიწყო. ამას გაყიდის ისე, რომ საქართველო თავის მომავალს ისევ რუსეთს უკავშირებს და შეცდნენ, როდესაც რუსეთის გარეშე ევრონათ იცხოვრებდნენ. ეს იქნება ძალიან კარგი მაგალითი სხვა ქვეყნებისთვისაც. როგორც რეგიონში მყოფ ჩვენი მეგობრებისთვის, ასევე სხვა ქვეყნებისთვის. განსაკუთრებით ამას დასავლეთის წინააღმდეგ გამოიყენებენ. ეს იქნება რუსების აზრით, ძალიან კარგი ზეგავლენის მოხდენისთვის. უკრაინის ომის ფონზე, საქართველოსთან თანამშრომლობის და ურთიერთობის აღდგენა რუსეთისთვის ძალიან დიდი პოლიტიკური წარმატება იქნება“, – ამბობს პაპუნაძე.

მისივე თქმით, თუ რუსეთმა საქართველოში ფეხი ისევ მოიკიდა და ჩვენი ქვეყანა მასზე დამოკიდებული გახდა, რა თქმა უნდა, ის ამით რამდენიმე კურდღელს დაიჭერს.



„საქართველოს კონტროლით, რა თქმა უნდა, სომხებს და დასავლეთთან გზა საერთოდ მოეჭრება. ეს გამოიწვევს ავტომატურად სომხეთის ხელში ჩაგდებას და აზერბაიჯანზე კონტროლის დამყარების გარკვეულ გარანტიებს მისცემს. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანის ხელში ჩაგდება ასეთი მარტივი ვერ იქნება, რადგან მის უკან თურქეთი დგას, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში საქართველოთი რუსეთი რამდენიმე პრობლემას გადაჭრის. გეოგრაფიულად სომხეთი დასავლეთზე საერთოდ ვერ გავა. საქართველოზე გავლენით რუსეთი გადანაცვებს ასევე სომხეთის პრობლემასაც.“

შესაბამისად, აზერბაიჯანის რუსეთთან დაპირისპირებული პოლიტიკურად არ არის და საკმაოდ მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებს. ამიტომ რუსეთისთვის ახლა საქართველო არის ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელი და ლოგიკურიც არის ეს განცხადებები. რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას, რა თქმა უნდა, სწორია და ვერც ერთი ხელისუფლება ამ პირობებს ვერ მიიღებს, როცა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღებას არ აპირებს.

რუსეთის ნდობა არ შეიძლება, შესაბამისად, პოლიტიკის ცვლილება და გადახედვა გამოირიცხება. ეს იქნება ქვეყნის და ქართველი ხალხის ინტერესების უგულვებელყოფა, რასაც ვერცერთი ხელისუფლება ვერ იზამს“, – ამბობს პაპუნაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

თბილისის სასოფლო-სამეურნეო უკანონო ზარალის მასშტაბები უკვე ასეულობით მილიონი ლარია

სასოფლო-სამეურნეო უკანონო ზარალის მასშტაბები უკვე ასეულობით მილიონი ლარია. მთავარი საფრთხეა სასოფლო-სამეურნეო უკანონო ზარალის მასშტაბები უკვე ასეულობით მილიონი ლარია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო უკანონო ზარალის მასშტაბები უკვე ასეულობით მილიონი ლარია. მთავარი საფრთხეა სასოფლო-სამეურნეო უკანონო ზარალის მასშტაბები უკვე ასეულობით მილიონი ლარია.

თვალთვალ ეკონომიკური ზარალი და შემდეგ გადაიანგარიშოთ კოეფიციენტებზე. ჩემი შეფასებით, 10-წუთიანი სასოფლო-სამეურნეო უკანონო ზარალის მასშტაბები უკვე ასეულობით მილიონი ლარია.

06. 8 33

ჰოდა, ოდესღაც, წინა ათასწლეულში ხალხი ერთი უნიკალური ფორმაში იმყოფებოდა: ფორტოზე ჩემი კეთილი ნაცნობი ზურაბ გამეზარდაშვილი რომაპს ართმევდა ხელს შიგ ვატიკანში. რამდენიმე სხვა ფორტოც იყო, რომელიც ზურაბ გამეზარდაშვილის ინტერვიუს ახლდა, მაგრამ მე სწორედ ეს ერთი ჩაუვსევი სტამბაში. ინტერვიუში ქართველი მეცნიერი გაზეთის თანამშრომელს მანანა კარტოზიას თავისი ხანგრძლივი იტალიური მივლინების შედეგებზე მოუთხრობდა. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ მე ყველაზე საინტერესო ის ამბავი მეჩვენა, რომ ზურაბ გამეზარდაშვილი შესაძლოა პირველი ქართველი ყოფილიყო, ვინც რომაპსს ხელი ჩამოართვა სულხან-საბას შემდეგ.

ჰოდა, ეს რომაპსი სულხან-საბას სიტყვაა – თავის საოცარ წიგნში „მოგზაურობა ევროპაში“ იგი სწორედ ასე იხსენიებს რომის პაპს. მე მაშინ უკვე შეპყრობილი ვიყავი სულხან-საბას მოგზაურობის გამოცემის იდეით და კარგად მქონდა შესწავლილი ეს წიგნი. 1714 წელს სულხან-საბა რომში ხუთჯერ შეხვდა კლემენტე XI-ს სხვადასხვა ვითარებაში – 5 ივლისს, 17 ივლისს, 31 ივლისს, 15 აგვისტოს და 17 აგვისტოს. ზურაბ გამეზარდაშვილი იოანე-პავლე II-ს 1982 წლის 5 მაისს შეხვედრია.

ჰოდა, მანანა კარტოზიას ის ინტერვიუ 1985 წლის 16 ივლისს დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტში“. ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ჯერ ცენზურას მიღწენ, როგორ გაგეპარაო, მერე – მე! ნიკოლსკის – პარტიის ცეკას მეორე მდივანს – სულ ბოლო წუთამდე უტრაში ედო გაზეთის ის ნომერი, როგორც ჩემი არასაიმედოობის უტყუარი დასტური. სულ რამდენიმე თვის დანიშნული ვიყავი რედაქტორად და ჩემი მოხსნა მაშინ ვერ გადაწყვიტეს, მაგრამ, როცა გადაწყვიტეს, სამი წლის შემდეგ – ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ ის პუბლიკაცია მომიდეს.

ჰოდა, იოანე-პავლე II, წარმოშობით პოლონელი, ყველაზე ანტისამბოთა პაპი იყო ისტორიაში. სამბოთა პრესაში იგი დადებით კონტექსტში არასოდეს იხსენიებოდა. მე კი იმ ინტერვიუს, სადაც რომის პაპთან შეხვედრა მთავარი თემა სულაც არ ყოფილა, სათაური შევუცვალე და დიდი შრიფტით ავაყვირე გაზეთის მეორე გვერდზე: „შეხვედრა რომის პაპთან“. დღემდე მუშაობს ეს ამბავი.

ჰოდა, ახლა, როცა მას შემდეგ ზუსტად 40 წელიწადი გავიდა, ჩემს ამ წერილს დაახლოებით იგივე სათაური ჰქვია – „ორი შეხვედრა რომის პაპთან“. ამ წერილით მინდა გამოვეთხოვო რომაპსს, ვისთან შეხვედრის საშუალება ორჯერ მომიცა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. ფრანცისკე აღდგომის ბრწყინვალე შვიდწლეულის პირველ დღეს, ორშაბათს დილით გარდაიცვალა რომში. არ ვიცი, როგორ არის კათოლიკურ სამყაროში, მაგრამ მართლმადიდებლურ სამყაროში ვენების კვირაში ან ბრწყინვალე შვიდწლეული გარდაცვალება ღვთის წყალობად აღიქმება.

ჰოდა, მინდა მივუსამძირო ჩემს კათოლიკე მეგობრებს – ქართველებსა თუ არაქართველებს – მათი მწყემსმთავრის გარდაცვალების გამო. წელს ჩვენი აღდგომების თარიღები ერთმანეთს დაემთხვა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება. აღდგომა კი ერთადერთი დღესასწაულია, რომელსაც ერთნაირად დღესასწაულობენ ორივე სოფლის მკვიდრნი. რომაპსმა ფრანცისკემ აღდგომის სიხარული ახარა და მიუღო თავის ამსოფლიურ სამწყსოს და მეორე დღეს იმ ქვეყანას მიაშურა იმსოფლიოერთა მახარობლად და მისალოცად. პირველი არაევროპელი, პირველი არგენტინელი, პირველი იეზუიტი პაპი 88 წლისა იყო.

ჰოდა, ჩვენ პირველად 9 წლის წინ შეხვედით ერთმანეთს. სულხან-საბას მოგზაურობის გამოცემა იმთავითვე გულისხმობდა რომაპსთან შეხვედრას. თავიდანვე ვიცოდი, რა უნდა გვეთქვა, როგორ უნდა გვეთქვა, რა უნდა მოგვეთქმა. რამდენიმე მცდელობაც გვქონდა, მაგრამ თავის დროზე საქართველოს ვატიკანის საელჩოში ამ შეხვედრის ორგანიზება ვერ შეძლო. მერე ის იყო, რომ იმაზე დავინწყე ფიქრი, შეიძლება გადამდგარ პაპთან შეხვედრის XVI-თან მოხერხებულიყო შეხვედრა და საქართველოს წინა ელჩი ვატიკანში, ბატონიშ-



ორი შეხვედრა რომის პაპთან



ვილი ქეთევან ბაგრატიონი ამაში შემწეობასაც შემპირდა. თუმცა ამასობაში ფრანცისკემ თბილისში ჩამოსვლა იწემა და რეაქციის უნივერსიტეტის რექტორმა, ჩვენი პროექტის მთავარმა მხარდამჭერმა წერილით მიმართა წმინდა საყდრის სადესპანოს საქართველოში, თხოვნით, იქნებ პაპს სულხან-საბასთვისაც მოეცალა.

ჰოდა, როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როცა საელჩოდან დამიწავს და მკითხავს, რამდენი იმეხმობო? თავიდან ვერ გავიგე – რომაპსის ვიზიტი წუთობრივად დაგეგმილია – ერთი ოფიციალური შეხვედრა პრეზიდენტთან, მეორე შეხვედრა საქართველოს პარლამენტთან, ბოლოს მესამე მიხეილ მესხის სტადიონზე და იმავე დღეს გამგზავრება ბაქოში. და არაერთი სხვა რამ, – როგორც გვითხრა საელჩოს წარმომადგენელმა, ვიზიტამდე რამდენიმე თვით ადრე, თუმცა ისიც გვიჩინა, წერილი მაინც მოიწერეთო. მე ეს მოხოვნელის დიპლომატიურად თავიდან მოშორებად მივიღე, – მიწერ წერილს და მორჩა. და აი, ახლა – რამდენი იქნებოდა, მეკითხებიან. საელჩოს სწორად მიუტანია რომაპსამდე ჩვენი თხოვნა და მასაც წუთებზე განწერილ გრაფიკში მთელი ნახევარი საათი გამოუყვია ჩვენთან შესახვედრად, – დილის 8 საათზე ვატიკანის საელჩოში, მესამე ნასვლის წინ. მაშინ წერილობით გავუგზავნე და ახლაც მინდა ამ შესაძლებლობისთვის განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო პაპის

მაშინდელ ნუნციუსს საქართველოში, მის აღმატებულებას, არქივისკოპოს მარეკ სოლჩინსკის და საელჩოს მდივანს პადრე მიჰეილეს ბლაჟს.

ჰოდა, აი, 2016 წლის 1 ოქტომბერს ჩვენი პროექტის მონაწილეთა და მხარდაჭერათა რვა წარმომადგენელი დილადრინად მიმდით წმინდა ტახტის სადესპანოსთან საქართველოსა და ვატიკანის დროშების ფრიალით. თეორიულად იმეხმობა ჩვენგანს სულხან-საბას მარშრუტი და მის კვალდაკვალ ჩვენი მოგზაურობის დაწყებისა და დამთავრების თარიღები გვცხადებდა: 4. 6. 2014 და 1. 10. 2016. გალავანს გარეთ დიდხანს არ გვალღინეს და მალე პაპის დაცვის ორი წევრი საელჩოს შიდა ეზოში შეგვიძღვა. შეხვედრის მოლოდინის დაძაბულობა პაპმა გამოჩენისთანავე გაუფანტა თავისი კეთილი ღიმილით, თავისი უბრალოებითა და უშუალოებით. მისმა უწმინდესობამ სათითაოდ ჩამოგვართვა ყველას ხელი და ყურადღებით მოისმინა მოკლე ინფორმაცია ჩვენი პროექტის შესახებ. ჩვენ მას ჩვენი მოგზაურობის მოთქმული სამასხოვრო მდგალი გადავუცით და მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპის ამსახველ გამოცემებთან ერთად საჩუქრად მივართვი ცნობილი მხატვრის მამუკა ცეცხლაძის მიერ სპეციალურად ამ შეხვედრისთვის შექმნილი ფერწერული ტილო – „შეხვედრა პონტიფიკოსთან“, ხოლო რომის პაპმა მისი ამჟამინდელი ვიზიტის მეგობრი-

ალური მედლები და სამახსოვრო საჩუქრები დაგვირიგა.

ჰოდა, მერე მისი უწმინდესობა გავუკაცხვარეთ ერთად ნახატის უკან და დანარჩენებში აქეთ-იქით ჩავრეკით. შეხვედრის ფორტოები პაპის ოფიციალურმა ფორტოგრაფმა, გაზეთ „ოსერვატორე რომანოს“ ფოტოსამსახურის ხელმძღვანელმა ფრანჩესკო სფორცამ გადაიღო და რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი წმინდა ტახტის სადესპანომ უნივერსიტეტში გამოგვიგზავნა.

ჰოდა, რომის პაპთან შეხვედრა თბილისში 30 მაისს, თუმცა იგი წმინდა ტახტის სადესპანოს – ესა იგი ვატიკანის ტერიტორიაზე მოხდა და შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა ერთდროულად გაიმართა თბილისშიც და ვატიკანშიც. აქ კი ჩამოვთვლი ყველას, ვისაც იმ დღეს რომის პაპთან შეხვედრის ბედნიერება გვხვდა წილად: გრიგოლ რომაქიძის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე; ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ხათუნა კაჭარავა; მოგზაურობის ფეისბუქ-პეიჯის ადმინი თამარ ელისაშვილი; მე-4 კურსის სტუდენტი მარიამ ზოკერია; მხატვარი მამუკა ცეცხლაძე; ჩემი მომავალი წიგნის რედაქტორი თეონა ნაცვლიშვილი; მოგზაურობის ამსახველი ფილმის რეჟისორი ნინო სხირტლაძე და ამ სტრიქონების ავტორი – პროექტის ხელმძღვანელი პაატა ნაცვლიშვილი. ასეთ ვიწრო წრეში რომის პაპთან შეხვედრა საქართველოში არასოდეს გამართულა.

ჰოდა, გავიდა ამ შეხვედრიდან 30-დღე 8 წელიწადი და კიდევ ერთხელ გომეცა რომაპს ფრანცისკესთან შეხვედრის საშუალება, ამაჟნად უკვე რეალურად ვატიკანის ტერიტორიაზე. რომში ჩემს მეგობართან, აკადემიკოს ვალერი ასათიანთან ერთად ჩავფრინდი. ის უდვას სათავეში დიდ გამაერთიანებელ პროექტს ITALICA-GEORGICA, რომელიც იტალიურ ქართული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების მრავალწლიან კვლევის შედეგების შეჯამებას, განზოგადებასა და ახალი კვლევებით შევსებას გულისხმობს. პროექტის კიდევ ერთი მონაწილე, ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორი გაგა შერლია რომში დაგვხვდა.

ჰოდა, პერ ვატიკანის არქივები დაგვათავლიერებინეს. არქივისგან ენრიკო ფლიანო გვიმასპინძლა. მეგონი, დავლაღე ჩემი შეკითხვებით. ჩვენ სამს წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული სოფო ქარცივაძე გვახლდა. შეხვედით და ვესაუბრეთ ვატიკანის არქივების პრეფექტს, პადრე როკო რონცანისს. წარმატება გვისურვა ჩვენს კვლევა-ძიებაში, როგორც შემძლია, ხელს შევწყობოთ. მისი დახმარება კი მართლა ძალიან გვჭირდება. ჯერ არ ვიცი, რას მოვიპოვებთ და როდის.

ჰოდა, მე ისევ ძირითადად სულხან-საბას ვუჭირავ. ვალერი ასათიანსა და გაგა შერლიას განსხვავებული ინტერესები აქვთ. სამივე ერთად კი ვეცდებით, გააფერადოთ რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი თეორიული ლაქა, რომელიც მიხეილ თამარაშვილიდან მოყოლებული, მრავალი მეცნიერის ძალისხმევით მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს იტალია-საქართველოს ხანგრძლივ ურთიერთობებში. პროექტში სხვა მეცნიერებიც არიან ჩართული. ამავე დროს არ შეიძლება არ გიხაროდეს, რომ ამ მხრივ სხვა პროექტებიც ხორციელდება და თუნდაც საერთო ძალისხმევით ძნელი იქნება მოერიო საქართველოსთან დაკავშირებულ იმ ზღვა მასალას, რომელიც ვატიკანისა და იტალიის სხვა სიძველეთსაცავებშია დაუნჯებული. დავდივართ ვატიკანში, ვფიქრობთ ამ ყველაფერზე და სამივენი რომაპსთან დაგვემხილო შეხვედრის მოლოდინში ვართ.



აღდგომა არის მტრობის
დამარცხება, შური,
ბოროტებასა და
სიკვდილზე
ბამარჯვება!

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის საადგილო ეპისკოპე**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და გიჟნეთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენო ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამეგობარულთ:

ქრისტიე ადღვა!

აღდგას ღმერთი, მიმორფანტონ მი-
სი მტრები და მისი მოკულები ივლ-
ტოდნენ პირისგან მისი; და როგორც
ქნება კვამლი, – განაძრდნენ ... მარ-
თაშობი კი განიხარება და იხეივებენ
ღმერთის წინაშე და სიხარულით დატ-
კვებობენ (ფს. 67. 2-3).

როგორი დიდი ნუგეზია წმ. დავით მეფის ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებში! როგორი იმედითა და სულიერის სიხარულით გადავცემოდით თაობიდან თაობას მართებულაზე გამარჯვების ეს საგალობელი. დიადი ჟამის აღსრულებას კი უკვე თითქმის 2000 წელია გამორჩეულად აღინიშნავს აცხოვრობა; ჩვენც დღეს ამ ზეიმის მონაწილენი ვართ.

კიდევ ერთხელ მინდა მოკლედ შეგახსენოთ, თუ როგორია გზა სამოთხიდან, მიწიერი ყოფის გავლით, ქათა სასუფეველამდე.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ღმერთმა ხილულ სამყაროში თავის ხატად მხოლოდ ადამიანი შექმნა და დაადგინა სხვა ქმნილებათა განვსებულად; მისკა თავისუფლება და ედემის ბაღის პატრონობა დაეავალა; იგი უნდა ყოფილიყო ამ ბაღის და ცნობადისა და სიცოცხლის ხეთა მრძედი მცველი; დანარჩენი ქმნილებები კი მას უნდა დამორჩილებოდნენ. ამით შემოქმედმა განსაკუთრებული პატივი მიაგო ადამიანს და არჩევანი მორიგებობას და სიუფეს, სიკდილსა და სიცოცხლეს მორის მის სიწმინდა მიანდო.

ჩვენს პირველმშობელთა მიმართ ამგვარი ამბულეზული დამოკიდებულების გამო შურით აღძრულმა ბოროტმა სულმა აედუნა ისინი და განაშორა ღვთის ღიღებს; ქვეყნიერება კი დარჩა უფლისგან დაღვნილი მწერეულების გარეშე. ბოროტი ძალა მხოლოდ ადამისა და ევას შეცდენით არ დაკმაყოფილებულა; ათასგვარი ხერხით იგი დღემდე ცდილობს, თავისკენ გააღიზიანოს კაცობრივი და საშოლოდ აღზო-ღის მასში ღვთის ხატება.

მაგრამ აღაშინენ მოღვაწე და სიკვდილზე გოლორდზე გაიწე ვერ დასცა. ყოვლადღოისი, მოცხალი, კურთხეული, უმილაგი დედარეის (როგორც ძველ აღთქმაში ხშირად იხსენიება შემოქმედელ) რწმენა განსაკურთხავთ დიდი იყო რჩეულ ერში; მიიღე და დაკავშირებულ მდგომარეობაშიც კი, ამ წილადი საუკუნეთა განძილზე ჩნდვარდნენ ღვთისმცოდნე და რჩეული პიროვნებები, რომლებიც ზემოთხსენებულ გზას უკვეწევდნენ ხალხს.

ისინი იმ იმედით იყვნენ აღვსილნი, რომ შემოქმედი არ დაუშვებდა მუდმივ დასჯილობაში ცხოვრებასა და სიკვდილს და დაგვიბრუნებდა დასაბამისიყო პატივს.

ამიტომაც გულდასმით იძიებდნენ სამოთხისეული მდგომარეობის დაკარგვის მიზეზებს და

საზოგადოებაში მარადიული ღირებულებების განმტკიცებისთვის ძალისხმევას არ იშურებდნენ; ამასთან, ღვთის სათნო ცხოვრების მაგალითს, პირველ რიგში, თვითონ იძლეოდნენ.

გამცემთაგან დადამიანზე იმ წყველის ქვეშ იხსოვრა, რაც ადამის მოღვაწე ცოდვის გამო დაიმსახურა. თავად ყოვლად უმოდელთა იჭიკრეთ უზრატლო ადამიანის ყოფა, დაიბადა რა ხუროს ოჯახში, რომელიც ყოველდღიური ზრთით მოიკრევებდა სარგოს. ამასთან, განკაცებული უფალი თავისი ნებით ითმენდა ტივილს, შიშილს, ღალატს ... შვედურ პი, — შვედურთაგან, სიმრუფს, ტისინაგებას, შვერამცყოფას, ღალატს ...

როგორი წარმოუდგენელია, რომ ღმერთი

**უფლის ჯვარცხით კაცობრიობამ განაჩენი არა მარტო
იესო ქრისტეს გამოუტანა, არამედ საკუთარ თავსაც,
რადგან ამიერიდან ქრისტეს მიმდევართათვის
ხსნა სულიერ ჯვარცხას დაუქავეშირდა.**

შენს გვერდით, შენი ცხოვრებით ცხოვრობს; უცოდველი ცოდვილთა შორის ჩვენს მძიმე ხედრის ტვირთულობის, რათა მოგვეცეს მაგალითი რწმენის, სიმინდის, ღათმენის, სიკეთის, სიყვარულის ... და რეალურად დავგანახოს, როგორი უნდა იყოს ადამიანი.

30 წლის იესო უცხადებს კაცობრიობას, რომ აღსრულდა საუკუნეთა მოლოდინი, განკაცდა მხსნელი, რათა შემოქმედი დაეხმაროს თავის ქმნილებას და ჩვენთვის ყოველი კეთილი შესაძლებელი გახადოს.

ამასთან, ხილული სასწაულებით უფალი მრავალგზის ამოწმებს, რომ აქვს ძალბოისილება, განკურნოს ნებისმიერი უძლეურება და სწეულება, გაათავისუფლოს ადამიანები მორთქი სულებისგან, აზიაროს ისინი ღვთის სიბრძნეს; რომ მხოლოდ მას შესწევს ძალა, დაამყაროს მშვიდობა, დაამარცხოვოს თვით სიკვდილი და აღადგინოს მკვდრები... მაგრამ ღვთის რჩეულ ერის დიდი ნაწილი და მისი სულთწიერი წინამძღოლნი საბოლოოდ მაინც უკრძნობნი დარჩენე უფლის მოწოდების მიმართ, ზურგი აქციეს ცხოვრების წინამძღვარს და მისი დასჯა მოითხოვენ.

იგივე მიხდა ყველაზე ძლიერ და, ფაქტობრივად, იმ დროის ყველაზე ნაწამბე-
გულ სხეულშიფრომში, - რომის იმპერი-
აში, რომლის ნაწილსაც ისრაელი მაშინ
ნაწილობრივად. რომად ღმრთის სიგზძნის
და საგარდალს თავისი იუდიდული კა-

ნერვები შეაგება. აჰ კი წესად ჰქონდათ: იმათგან, რომელნიც არ იყვნენ რომის მოქალაქენი, თუკი ჰიქნებოდა იმპერიულ ღირსებაზე, და მისწრაფებებზე შეუთავსებელი იმპერიულად, თუნდაც იგი ჯერმანო-სავსის მაღალკვალიყო ყოფილიყო, ყველაზე დაბაგმირებულ სასაქალაქო შემადგენელ-დნენ – ჰპარებ აკრავდნენ. ჰპარი ნარმო-ადგენდა სიმბოლურ სახეს იმისას, რაც სიბნელად, შეშფოთებას, გორბუჭებას უკავ-შირდებოდა და, გათი ნარმო, სიმბოლურად და ცივილიზაციის გზისგან იწეოდა.

საერთო შედეგი კი ასეთი დადგა: ცოდვას დამონებულმა და სიკვდილის შეგუებულმა კაცობრიობამ ღმერთის შეუფერხს თავისი ჩვეული ყოფა ამჟამინა, ჭეშმარიტ სიმაღლეს სრულიად უსამართლო განაჩენი გამოუტანა და თავად სიცოცხლეს ჯერაზე სამარცხვინო სიკვდილი მიჰსაჯა.

ამაზე დიდი დაცემა აღარ არსებობს! ამაზე დიდი ცოდვის წარმოღვევა შეუძლებელია! მაშინ გვეუიერი ძალები შეძრწუნდნენ, ანგელოზები განცვიფრდნენ, სტიქიონები შეიყვანა. მთელი ქმნილება შეიძრა, მზე განებრიდა, ქვეყანა სინებამ მოიცვა, კრეტსამშელი განიპო, ანგელოზმა ტაძარი დატოვა ... (წმ. კირილე ალექსანდრიელი).

● მაგრამ როგორ უპასუხა უფალმა ამ ენიტაუნერელ დანაშაულს?

● **გაპროგნოზებად! მიუთხრობელი დათმენით, სიბრალუღითა და სიყვარუღით!**
გან მოჩრდილთა და უძრგვინგვითა მიიღო განაგინ და არ შევინააღმდგა. არ გამოვიგნა ღვთიური ძალა და არ გასცდა აღამიანური შესაძლავლოვების ფარგლვს, რათა მთავარი მიზანი გოლორდუ აღდესუღივინა, – თაჲსი ყოვლადსოღვლოდ კაცოვრეიჲ სულს ღვთიურაგვინა დაამოხსილავით ჯოჯოხეთი დაეთრგუნა და სიჲვდილი შეეშუსა, გოროფი ძალისთვის გაგანადგურაველი დარგყა მიყაყინა და ბართაღლათთვის ცათა სსუფვლის გზა გავვსლა.

გავიხსენოთ იმის, რომ ჰერმეის წინ უფალი გულისხმავდა ღმრთივობა გმთხიბიანის ბაღში და, მხადყოფა რა თაბის აბამიანურ ზენებას, ევადრეობდა ბაბა-ღერბის, თუ ზენაბაღებოთ იყო, ანებო ღმრთიბი მისებრის ბრახალღმრთივ ბეზდოდ.

ამავე დროს, იგი თხოვდა თავის ერთგულ სამ მონათეს, ლოყვით შესწეოდნენ, რადგან მისი სული დამძიმებული იყო სიკვდილის მოლოდინით; მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, – აღამიანური ოქოლორგით ჩაიძინათ.

სამეზის სცადა მათი სიფხიზლის შენარჩუნება უფალმა, მაგრამ ამაოდ, რითაც დღეა-

მიზან აჩვენა, რომ რჩეულ მონაფეთას იმუ-
მად არ ჰქონდათ შინაგანი ძალა, უმძიმეს გან-
საცდელში მაცხოვრისთვის მცირედი თანად-
გომა გაეწიათ.

უფლის ჰვარცმით კაცობრიობაჲ განა-
ჩენი არა მარტო იესო ქრისტეს გამოუტანა,
არამედ საკუთარ თავსაც, რადგან ამიერ-
ნიდან ქრისტეს მიმდევართათვის ხნა სუ-
ლიერ ჰვარცმას დაუკავშირდა.

რა თქმა უნდა, მიიმეცა ეს გზა, ეს ჯვარი, მაგრამ, ამასთან, მაღალმოსილია იგი და მიმზიდველი, ერთადერთია და გადამრჩენელი; ამიტომაც ჰყავს ქრისტეს ეკლესიას ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი ამდენი წმიდანი და ერთგული შვილი.

როდესაც ჩვენი მიზიერი ყოფა შენც უსამართლოდ დაგამყირებს, შეურაცხყოფს და გაგრიყავს, რადღან ჭეშმარიტებას ეძიებ და უარს ამბობ ცოდვილ კეთილდღეობაზე, იცოდ, ამით საოველი აცხადებს, რომ შენ მისი არ ხარ; ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენ უფლისა ხარ; ანუ იმ ჯერის მტვრითველი ხარ, რომელიც ქრისტეს მიმღევეართავის იქცა სამართლიანობის, ერთგულების, ღირსების, სიკეთის, ჭეშმარიტების ხატად და მარადიული სიოუხისის ნიშნად.

მაცხოვარი გვიხილავს ყველას და განგვაგვიძვირებს: „განსაცდელი გაქნებათ ამჟამინდელ, მაგრამ დაგნებდით, მე ვქლიუ სოფელს“ (06.16,33) და „თქვენთანა ვარ, დამეძღა, ვიდრე აღსასრულადღა ძვეყნისა“ (06.28,20) ... „დაიცავით ჩემი მცნებანი და რასაც იტხოვთ ჩემი სახელით, შევიტრულდებით“, (06.14,15,13) ოღონდ, როგორც „მე გვიცავს ჩემი თქვენი, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (06.13,34).

დღეს გსოფლიოში მრავალგვარი
რთული პროცესი მიმდინარეობს; დროც,
თითქმის, დაჟაჟრა; გოვლენებში და ზე-
ხედულვებში სწრაფად იცვლება; დაპო-
რისპირკვლუბა, არასტაბილურება, ვერ-
ლოგიური პროვლენები, გუდგოვი სტრუ-
ქტი, ემები ... გვენს საერთო რეალობად
იქცა. გვგვირგის გოსურნათა გონდოგე-
ბა დიდია, თუმცა გედების მიდნევა იოლად
არ ხდება ...

დმერთმა დალოცოს მშვიდობისმყოფელ-
ნი, ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს მსოფლიო!
არსებულმა ვითარებამ ყველა უფრო მეტად
უნდა დააფიქროს სიცოცხლის არსზე და მარა-
დიოლ ღირებულებებზე.

ჩვენ მარადიული ნეტარებისთვის ვართ შექმნილინი; აქ, ამქვეყნიურ ყოფაში კი, დროებითი და ნარეუალის, მიწის და ზეცის კავშირით უნდა ვიქცეოთ, მაგრამ სწრაფვა მარადიულობასთან სიახლოვისკენ, მუდამ უნდა გვკონდეს, რაც პირველ რიგში ეკლესიის საშუალებით მივლინა.

მხოლოდ ეკლესია გვიცხადებს სი-
ცოცხლის ნამდივო მიზანს, გვახედებს
ჩვენს სულში და სიკეთისა და ბოროტების
გარჩევის ყველაზე ჭეშმარიტ და სწორ შე-
ძახებლობას გვთავაზობს. ის არ
გვთვლის შეუძლებელს; პირიქით, გვიხმობს
ჩვენი სისუსტეების და მათ დასაძლევად

ძალას გვაძლევს. ის გულში გვიკრავს, მაგრამ უკეთურ ქმედებას არ მოგვინიშნებს. ამასთან, ჩვენს სულიერ და შინაგან ძალებს განამტკიცებს და ყველაზე რთულ ვითარებაშიც იმედს არ გვაკარგვინებს.

საეკლესიო დღეისაწაულთა შორის ყველაზე გამოჩენილი ადგილი ალდგომას აქვს, რადგან სწორედ იმის ნიშანსაც იხსენებენ უხრწწალები ჩვენთვის მარადიული სიმართლის მოწმეობისა.

რას ნიშნავს ეს?
რადგან ჩვენ ვხედავთ უფლის ალდგომას, ამავე დროს, ვაღიარებთ უხრწწალობის სხეულში ჩვენს მომავალ დამკვიდრებას ცათა შინა. იმის ქრისტიანულ მარადიულ რწმენას, რომელიც ამავე დროს, სწორედ ცხოვრებისა, ისე გამოვსახავთ, რომელიც, – სასუფთველში მარადიულად დამკვიდრებისა.

„ვინაიდან კაცის მიერ იქმნა სიკვდილი, და კაცის მიერვე აღდგომა მკვდრებით და როგორც ადამიანს კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“ (I კორ. 15.21-22).

კაცობრიობის საყოველთაო აღდგომის რწმენა არის ქვეყნის ქრისტიანული აზროვნებისა; ვისაც ეს არ სწამს და თავს მაინც ქრისტიანად თვლის, ძალიან ცდება და, სინამდვილეში, მაცხოვრებელ ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს, რადგან, როგორც პავლე მოციქული მრძანებს, „თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა და ... თუ ქრისტე არ აღმდგარა, ფუჭია ჩვენი ქადაგება და ჩვენი რწმენაც“ (I კორ. 15.16,14).

– ...მაგრამ როგორ აღდგებიან მკვდრები? ან რომელი სხეულით მოვლენ?

– რასაც შენ თვს (იგულისხმება მცენარის თესლი), ვერ იცოცხლებს, თუკი არ მოკვდა; ასევე მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებში, აღდგება უხრწნელებში; ითესება დამ-

ეს კი მეორედ მოსვლის შემდეგ აღესრულება, როცა შეიქმნება ახალი მინა, ახალი ცა, სიკვდილი სრულად განქარდება და მარადიულობაში ჩვენი საბოლოო დამკვიდრება მოხდება.

მაგრამ ვიდრე არ დამდგარა ჟამთა აღსასრული და გარდაცვლილთა სულები თავისი უხრწნელი სხეულით შემოსვის მოლოდინში არიან, ვიდრე შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და სხვათაღმ, ასევე, იმქვეყნად წასულ ჩვენს ახლობელთათვის ლოცვა და სიკეთის ქმნა, ადამიანთა გამოხსნის პროცესი მოლოდინდ დასრულებული არ არის.

გვჯერა ეს თუ არ გვჯერა, გვსურს ეს თუ არა, რეალობა ერთია, – ჩვენი არსებობა ამ ნუთისოფლით არ მთავრდება.

ამქვეყნად აღვასრულებთ არსებობის იმ სახეს, რაც გარდაცვალების შემდეგ ჩვენს მომავალ ცხოვრებას განაპირობებს. ასე რომ, ჩვენი ყოველდღიური მოქმედებით, აზროვნებითა და მეტყველებით, ჩვენ თავითონ ვქრწავთ, ჩვენ თავითონ ვქმნით ჩვენს მარადიულობას, – კარგს ან ცუდს.

და როგორც სამოთხეში, ისე აქაც, დამიწაზე, ჩვენსა დამოკიდებული, რას ავირჩევთ მიწაზე: სიკეთეს თუ ბოროტებას, სიმართლეს – თუ სიკვდილს?

აირჩიე სიკეთე და სიცოცხლე! ამით დაამტკიცებ, რომ აფასებ ღვთის სიყვარულსა და მსხვერპლს შენს გადასარჩენად გადმეულს და აფასებ საკუთარ სიცოცხლეს, – შემოქმედის უდიდეს წყალობას შენდამი.

მადლისმიერი განდგომის შესაძლებლობაზე დიდი რა უნდა იყოს ადამიანისთვის! ამიტომაც რა პროფესიისა და ასაკისაც არ უნდა იყო და რა საქმესაც არ უნდა აკეთებდეს, ყოველივე მიმართე ღვთის სადიდებლად და მის სამსახურად; და „ნუ იქნება ცოდვის სუფევა

ვინაიდან კაცის მიერ იქმნა სიკვდილი, და კაცის მიერვე აღდგომა გავდრთით და როგორც ადამიანი კვდება ისე ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა

ცირებაში, აღდგება დიდებაში... ითესება სხეული მშენიანებით, აღდგება სხეული სულიერად“ (I კორ. 15.35-36; 42-44).

სწორედ რწმენა მარადიულ ნეტარებაში დამრუნებისა, აძლევს აზრს ჩვენი ყოფის იმ წესს, რაც უფალმა გვასწავლა და გულისხმობს: სხვათადავად მსახურებას, თავმდაბლობას, დათმენას, თანაგრძნობას, თანადგომას, ზნეობრიობას, მშვიდობისმყოფელობას, გულის სიმშინდეს, სულის სიმტკიცეს, უშურველობას, თავდადებას ... ჯვარცმის შემდეგ ისინი, რომლებიც საფლავთაგან აღდგნენ, გახდნენ პირველი მქადაგებელი ქრისტეს აღდგომისა. და როგორ არ დაიჭრებდნენ აღდგომის სასწაულს ისინი, რომლებიც საკუთარი თვალით ხედავდნენ გახსნილ სამარეებს და ისმენდნენ საფლავთაგან გამოსულთა ქადაგებას?!

როგორ არ დაიჭრებდნენ აღდგომის სასწაულს მენელსაცხებელ დედები და მონაფეები, როცა 40 დღის განმავლობაში ჰქონდათ ურთიერთობა უხრწნელი სხეულით აღმდგარ უფალთან და მისგან დარიგებებს კვლავ იღებდნენ?!

როგორ არ დაიჭრებდნენ მომხდარს იესო ქრისტეს ასობით სხვა თვითმხილველიც და მისი ცად ამალგების მოწმეები?!

ეს ურყევი რწმენა და უფლის სწავლებანი მზავნად სულიერად განმარტობილმა და განმტკიცებულმა მოციქულებმა და ეკლესიამ მთელ ქვეყანაზე განავრცეს.

წმ. უფრეპ ასურის წერს: „გვადართა ალდგომისას შინა უკან ავრუნებთ ადამიანის სხეულს, როგორც იყო; იმასაც, ვინც გვხვდა შთანთქმ, ვინც გვხვდა და ფრინველებმა შეჭაბეს, ვინც ცემს ზოგი დინება ... ამ ერთმანეთის უნახავნი, იმ იმდენად ერთმანეთს; დედა იმდენს, რომ ეს მისი შვილია, და შვილი იმდენს, რომ ეს მისი დედაა ... ამასთან, თითოეულის სხეული თავის საქმეებს ავრუნებთ, რადგან თითოეული ჩვენგანი ამ საქმეებს საკუთარი სხეულით ახარებს და ყველას შესაბამისად მივგება საზღაურს“.

ადამიანი არ არის ცალკე არც სული და არც სხეული, არამედ – მათი ერთობა. ასე შეიქმნა იგი თავიდანვე; ამ ერთობას არღვევს სიკვდილი, რაც ცოდვის შედეგია; აღდგომით ჩვენი განახლებული სხეული და სული კვლავ შეერთდება და ღირსათაღის სამოთხისეული მდგომარეობა უფრო აღმატებული სახით დამრუნდება.

თქვენს მოკვდავ სხეულში, ნუ დამორჩილებით მის (სხეულის) სურვილებს“ (რომ 6.12).

„თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულის წმინდისა, რომელიც გაქვთ ღმრთისაგან და არ ეკუთვნით თქვენს თავს.“

აღიღეთ ღმერთი, თქვენი სხეულითა და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა!“ (რომ. 18,19-20)

დღეს მსოფლიოს ეფინება საოცარი საგალობელი:

„ნათელ-იღე, ნათელ-იღე, იერუსალიმ, რამეთუ მოწვევულ არს ნათელი შენი და დიდებაი უფლისაი შენ ზედა გამოგზავნიდა, და ვიდრედა ყოველი ნათესაჲნი ნათელსა შენსა!“

განდვიძიე, განდვიძიე, სიონ! განდვიძიე და აღდგე იერუსალიმ! და დაიდგე გვირგვინი სიკეთისა შენსა, სიონ, და გვირგვინი დიდებაი შენი, იერუსალიმ!“

განდიქარებუ საბოთალი გლოვისა შენისაი და შემოესე საგაჲლი სიხარული-სა შენისაი, ქალაქი წმიდაო, რამეთუ „აჲ ესერა მზურსა განდისაჲნი ტირილგან და ცისპარსა მას მოიწია სიხარული აღდგომისაი“ (მელეტი ანტიოქიელი).

აღდგომილმა მაცხოვარმა თქვენც მოგმადლოთ სიხარული!

ყოველდღიურად ღვთისმშობლის მეოხებით, ყოველდღიურად სამშობლოდ გავლავით, სულიერად განგამტკიცოთ და განგაძლიეროთ თითოეული თქვენგანი!

მუდამ გასოვდეთ, აღდგომა არის მარადიულობის იმედი და მწუხარების განქარების დღე, აღდგომა მტრობის დამარცხება, შურზე, ბოროტებაზე და სიკვდილზე გამარჯვება; აღდგომა პატიება, გამოსყიდვა და სიხარული; აღდგომა სიყვარულის ზეიმი და შესაძლებლობა საუფლო სხეულში ყველას განახლებისა და ქრისტეში გაერთიანებისა.

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

თქვენთვის მოლოდინი,

ქილაძე

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.

თაბისი,

აღდგომა ქრისტესი, 2025წელი.



ეს დღეები გადღითაა სავსე... ბრწყინვალე უპიძეული

20 აპრილიდან დაიწყო ბრწყინვალე შვიდღიანი. ბრწყინვალე შვიდღიანის თითოეული დღე განსაკუთრებული გადღითაა სავსე.

ბრწყინვალე შვიდღიანში ზიარებისთვის მომზადებას შემსუბუქებელია. მარხვის დაცვა არაა საჭირო, ხორცის მიღება თვით ზიარების წინა დღესაც კი შეიძლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისაღმების წესიც იცვლება: აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში ქრისტიანები შეხვედრისას ერთმანეთს ახარებენ: „ქრისტე აღდგა“ – „ჭეშმარიტად აღდგა!“

ბრწყინვალე შვიდღიანის ოთხშაბათს ღირსთა მამათა (სინას მთაზე მოსაგრეთა) კრების ხსენება. ხუთშაბათს მღვდელმონაზმე ანტიპას (კურნებათა მომწიგებელს) იხსენიებს. ბრწყინვალე შვიდღიანის პარასკევს ყოველდღიურად ღვთისმშობლის ხატის „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაულია. შაბათს თბილისის სიონში თავად გივი ამილახვრის სულის საოხად ჟამი შეინიშნება.

P. S. შაბათს წირვის შემდეგ ხდება არტოსის (გერძული პური) განტეხვა. გიული ლიპარტი

გაუიფრულია უმეღესი ბრავიტები იოსოს ბოლო გახუმის ოთახში...

გიორგის მისაღმით, იესომ ჯვარცმამდე საიდუმლო ვახშიში გამართა თავის მოციქულებთან ერთად. ამიტომაც გვერე ქრისტიანი ამ ადგილს წმინდად თვლის და მის მოსანახულებლად დიდ დისტანციებს გადის.

Liber Annuus-ში გამოქვეყნებული კვლევა იუწყება, რომ საერთაშორისო მეცნიერთა ჯგუფმა, ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა ულტრაბინოტეფი და ინფრარითული ფილტრები და მრავალსპექტრული ფოტოგრაფია, გამოთრა ოთახის კედლებზე ამოტიფრული რამდენიმე ათეული უძველესი წარწერა. მკვლევრები ამბობენ, რომ მათ დამაინტრიგებელი შეუქი მოპოვინეს შუა საუკუნეების პილიგრიმების ვინაობას.

ერთად აღებული წარწერები იძლევა უნიკალურ ხედვას მომლოცველთა გეოგრაფიული წარმომავლობის შესახებ, – თქვა ილია გუგუშვიამ, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიკოსმა და ახალი ნაშრომის თანაავტორმა.

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ სომხურ ენაზე ერთ-ერთი წარწერა სირიის ქალაქ ალეპოს

ეხება. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ წარწერა ქრისტიანმა ქალმა დატოვა.

გრაფიურებზე ასევე არის ევროპელი მომლოცველების მრავალი კვალი, მათ შორის ავტოგრაფი, რომელიც თარიღდება 1400-იანი წლებით. მეცნიერთა აზრით, ის დატოვა გერმანელმა მომლოცველმა იოჰანეს პოლონერმა, რომელმაც მოგვიანებით დაწერა დეტალური ამბავი იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ. ზედა ოთახის კედლებზე გამოსახული XV საუკუნის პერალდიკური გერბი ეკუთვნის დიდგვაროვან ოჯახს შტირიიდან, ავსტრიის შტატიდან, ხოლო მეორე გერბი ეკუთვნოდა მე-15 საუკუნის შვეიცარიელ რაინდს, ადრიან I ფონ ზუგენბერგს.

მკვლევრებმა თქვეს, რომ ზოგიერთი წარწერის გარჩევა რთული იყო. სწორედ ამიტომ გადამწყვიტეს გამოყენებინათ თანამედროვე ტექნოლოგიები.

მეცნიერებმა განმარტეს, რომ წმინდა შენობის კედლებზე ასეთი „გრაფიტები“ ჩვენს დროში ვანდალიზმად ჩაითვლება. თუმცა, მე-13 საუკუნის ბოლოს ეს იყო ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა.





ორი შეხვედრა რომის პაპთან

(მესამე გვერდიდან) ჰოდა, რომში რომის პაპთან შეხვედრის უკუთხედი რა უნდა გააქვით ადამიანმა? 2024 წლის 4 დეკემბერი იდგა, ოთხშაბათი. პაპმა წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ საგანგებოდ მოწვეულ ხალხს სათითაოდ ჩამოუარა. უკვე აშკარად ეტყობოდა წლების სიმძიმე. ინვალიდის ეტლით მოძრაობდა. აკადემიკოსმა ვალერი ასათიანმა ძალზე მოკლედ გააცნო ჩვენი პროექტის მიზანი და დანიშნულება, საქართველოს პატრიარქის მოკითხვა გადასცა და მადლობა უთხრა იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ჩვენ ვატიკანში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით. გავა შურღაია ყველაფერს სინქრონულად უთარგმნიდა და პაპიც დადებითად მიუხედავად მოწყალედ ილიმოდა მოწოდების ნიშნად.


ჰოდა, მე რომავეს ჩვენი იმ პირველი შეხვედრის ალბომი მივართვი, რომელშიც თბილისში, გადაღებული ფოტოები იყო დაგვიდოლი, რომა მან მათიკანის საელჩოში სულხან-საბაო პრუშინის მონაწილეობა მიგვითხრო. კარგახანს ათვალეფრა 2016 წლის 1 ოქტომბერს ფრანკისკო სტორცას მიერ გადაღებული სურათები და მერე მეკითხება, ეს ალბომი ჩემია? რა თქმა უნდა-მეთქი.

ჰოდა, მეგონა, რომ იმ დღეს გადაღებულ ფოტოებსაც მერე უკვე ნიშნის სახით გადავცემდი, ჩვენი პრუშინის რომელიღაც შუალედურ ეტაპზე, მაგრამ ნიშნად, რომელშიც ეს ფოტოები იდგა დაგვიდოლი, მხოლოდ დღის ბოლოს გამოვა, უკვე სხვა პაპის პონტიფიკატისას. თუმცა ფაქტია, რომ იტალიასთან დაკავშირებულ ორ პროექტში, რომლებშიც მონაწილეობა მომიხდა, რომაპაპმა ფრანკისკემ თავისი კვალი დატოვა. თუმცა ეს კვალი, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი, მეტისმეტად მცირეა იმ კვალთან შედარებით, რასაც იგი, მსოფლიოს 266-ე პაპი დატოვებს თუ უკვე დატოვა მსოფლიოს ისტორიაში.

ჰოდა, მეგონად განუხვენი, უფალო! RIP Papa Francesco! ანუ იტალიურად – Riposa in pace, Papa Francesco.

და, რა თქმა უნდა, ეს-პანურად: Que descansas en paz, Papa Francesco.

პაატა ნაცვლიშვილი.
ფოტოები: „ოზსერვატორი რომანო“



ტრამპის წინ „მოჭიხვინა შურნალს“ გბელი „შაუჭამს“?!

The Wall Street Journal: დონალდ ტრამპი უკრაინას, ომის დასრულებისთვის ყირიმის რუსეთის ტერიტორიად აღიარებას და ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმას შესთავაზებს.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ტრამპის სამშვიდობო გეგმა, გაპროექტებული ატომური ელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიის, ნეიტრალურ ტერიტორიად გამოცხადებას ითვალისწინებს. გამოცემა წერს, რომ ეს წინადადებები კონფიდენციალურ დოკუმენტებია გაწერილი, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებმა, პარიზში გამართულ შეხვედრაზე, უკრაინელ კოლეგებს გადასცეს.



თბილისის სასოებასი ეკონომიკური ზარალის მასშტაბები უკვე ასეულობით მილიონი ლარია

(მეოთხე გვერდიდან) რაც შეეხება სან-ტისტიკოსმა ინგარიშმა, რომ 100 კმ-ზე ავტომობილი მოიხმარს 8 ლიტრ სანავს, თუმცა მანქანის მოძვლის მიხედვით ეს რაოდენობა შესაძლოა, ბევრად მეტი ან ნაკლები იყოს. „საშუალოდ, 8 ლიტრი ავიღე, დავიანგარიშე საცობებში ნელი მოძრაობა და დამატებითი ხარჯი, ვფიქრობ, ეს ჯამში დაახლოებით 160 მილიონი ლარის ზარალია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ყველაფერი არის კონსერვატიული შეფასებით და შეიძლება მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტი იყოს“, – დასძინა არჩვამიძე.

მიუხედავად იმისა, რომ იზრდება თბილისში ავტომობილების რაოდენობა, პრაქტიკულად, უცვლელი რჩება საავტომობილო გზები. პრობლემის გადაჭრის მეთოდებზე საუბრისას, ეკონომისტმა ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე, უფრო მეტად კი ხიდების, ესტაკადების მშენებლობასა და მინისქვეშა სატრანსპორტო ქსელების განვითარებაზე.

დედაქალაქში რომ საცობები სერიოზული პრობლემაა, ამას თბილისის მერი პაპა პალაძემ აღასტურებს. იგი ირწმუნება, რომ ყოველდღიურად მუშაობენ ამ მიმართულებით, თუმცა ამ მხრივ ქალაქის ხელმძღვანელობა რაიმე ხელშეწყობის წარმატებით ვერ დაიკვეცის. კალაძის განცხადებით მერიაში ამ პრობლემის მოგვარებისა და მოძრაობის მონეტარიზების თვისი ხედვა აქვთ.

„ქუჩებისა და გამზირების რეაბილიტაციის პარალელურად, მაქსიმალურად ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ

სადაც შესაძლებელია ემატება საავტომობილო ზოლები, რათა გადაადგილების პრობლემა მოიხსნას და დედაქალაქში მოძრაობა აჩქარდეს. ცხადია, ყველა ქუჩაზე შეუძლებელია ამის გაკეთება, მაგრამ სადაც კვლევების შედეგად დადგინდება, რომ აუცილებელია ამის გაკეთება, ყველგან ვაკეთებთ.

გარდა ამისა, იქმნება საფეხმავლო ბილიკები, ზებრა გადასასვლელები, უსაფრთხოების კუნძულები; სადაც შესაძლებელია, ემატება საავტომობილო ზოლები, რათა ქალაქში გადაადგილების პრობლემა მოიხსნას და რაც მთავარია, აჩქარდეს.

მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო აშუშავეშს საგზაო მოძრაობის ორგანიზების არაერთ სქემას. უკვე განხორციელდა სატრანსპორტო კვანძის ოპტიმიზაცია იალბუჯის ქუჩისა და ნოე ჟორდანიას სახელობის სანაპიროს კვეთის მიმდებარე, სადაც ხშირი ავტოსაგზაო შემთხვევები ფიქსირდებოდა. სატრანსპორტო კვანძზე მოეწყო დამცავი კუნძულები, შეიქმნა საფეხმავლო კავშირი და მტკიცის მარცხენა სანაპირო მიმდებარე ტერიტორიის დაუკავშირდა, – აღნიშნა პაპა პალაძემ.

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში დედაქალაქის ქუჩებში ავტოტრანსპორტის რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. ასე მაგალითად, ბოლო 5 წლის განმავლობაში თბილისში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა თითქმის 230 ათასით გაიზარდა.

იკა ბაძრაძე

ტრამპის მკვლელობის მცდელობის კვალი უკრაინაში მიდის

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნის მაიკ ჰენსის თქმით, აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მკვლელობის ბოლო მცდელობის გეგმის კვალი უკრაინაში მიდის.

ბენცის სოციალურ ქსელ X-ში წერს, რომ პოტენციური მკვლეელი აზოვის ბატალიონის ჯგუფურ ონლაინ მიმონერაში ფიგურირებდა. ბენცის აზიარებს ამერიკელი ბლოგერის, კენ სილვას ინფორმაციას, სადაც აზოვის ბატალიონის მხარდამჭერი დაჯგუფების მიმონერაში ტრამპის მკვლელობას განიხილავენ.



ომის მშვიდობიანად მოწესრიგებისთვის დღეს იკრიბებიან

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ის წარმომადგენლები 23 აპრილს ლონდონში ომის მშვიდობიანი დარეგულირების განსახილველად შეიკრიბებიან.

„უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვედეთი, შტატები. ჩვენ მზად ვართ, მომავალშიც მაქსიმალურად კონსტრუქციულად ვიმოქმედოთ, რათა მივიღწიოთ ცეცხლის უპირობო შეწყვეტას, შემდგომში კი რეალური და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება უზრუნველყოთ“, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.



მარჯორი ბაილიორ ბრინი:


არსებობს მხოლოდ ორი სქესი – ქალი და კაცი

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა, „რესპუბლიკელმა“ მარჯორი ბაილიორ ბრინმა სოციალურ ქსელ X-ში დაწერა, რომ არსებობს მხოლოდ ორი სქესი – ქალი და მამაკაცი და ამ ფაქტს ვერანაირი მედიკამენტები თუ ქირურგიული ჩარევა ვერ შეცვლის.

„ყველაფერი ერთ ფუნდამენტურ ჯგუფირებაშია და დღის. არსებობს მხოლოდ ორი გენდერი/სქესი: ქალი და კაცი. ვერანაირი ჰორმონები, მედიკამენტები თუ ოპერაციები ვერ შეცვლის პიროვნების სქესს. ვისაც ასეთი ტყუილის სურება, მენტალურად და სულიერად გზაბნეულია“, – დაწერა მარჯორი ბაილიორ ბრინმა.



კარგი ამბები



კალოსნობა

პიშინი (მოდერნიზაცია). ევროპის ჩემპიონატი. 97 კგ. **3 ვერცხლი** – რევაზ დავითაძე (ატაცი, აკვრა და ორჭიდი). მძიმე წონა. **1 ბრინჯაო** – ბაქარ თურმანიძე (ატაცი). 89 კგ. **3 მე-4 ადგილი** – საბა ასანიძე (ატაცი, აკვრა და ორჭიდი). საბოლოოდ საქართველოს დელეგაციის აქტივში 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალია, გაისად ევროფორუმს საქართველო უმასპინძლებს და შესაბამისი დროა **ლაშა ტალახაძეს** გადაეცა.

პრიზი

ბაქო (აზერბაიჯანი). საერთაშორისო ტურნირი „დიდი აზერბაიჯანის გზა“ 8 ქვეყნის 175 წარმომადგენლის მონაწილეობით. საქართველოს დელეგაცია – 6 მედალი. **ვერცხლი** – სახილ ალახვერდოვი (48 კგ). **ბრინჯაო** – დავით ჯაფარიძე (51 კგ), გიორგი ნატროშვილი (75 კგ), ირაკლი ალანოძე, გიორგი ჭილაძე (ორივე – 92 კგ), ნიკოლოზ ბრეგაძე (+92 კგ).

დავით, რომ აღნიშნულ პრესტიჟულ ტურნირზე მსაჯად გახლდათ მიწვეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **ზაალ ჯავახიძე**, რომელიც კოლეგათა შორის საუკეთესოდ დაასახელეს.

ოქტაგონი

ჩინეთი. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციის – ბრეივის მორიგი ღონისძიება. ბრძოლებში გამარჯვებული ქართველები: **ჯუმა ბერიძე, დავით ლორთქიფანიძე და რაულ თუთარაული.**

ჩოგბურთი

სლოვენია. 60-ათასიანი ტურნირი. **ქალები.** ფინალში გავიდა ეკატერინე გორგოძე. **შარმ ელ-შეიხი (ეგვიპტე).** 15-ათასიანი ტურნირი. **ვაუტები.** ფინალში გავიდა საბა ფურცელაძე.



ბიულ

23-26 აპრილი. პოდგორიცა (მონტენეგრო). ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა. **ვაუტები.** სარდალაშვილი, მარგველაშვილი, ნოზაძე, შავედათაშვილი, გრიგალაშვილი, ბეჭაური, მასიურაძე, სულამანიძე, თუმბიშვილი. ქალები. როდონია, ლიპარტელიანი, ასკილაშვილი, ჭანტურია, სომხიშვილი.

2-4 მაისი. დუშანბე (ტაჯიკეთი). გრანდ სლეში. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა (მხოლოდ ვაუტები). ზირაქაშვილი, ტერაშვილი, ლოლაძე, კაპანაძე, ჯაბიაშვილი, დავლაძე, გურემიძე, მუკმანიანი.

კალათბურთი

ნაბ. პლეი ოფები. **აღმოსავლეთი.** ბოსტონი – ორლანდო (**გოგა ბითაძე**), კლივლენდი – მაიამი, ნიუ იორკი – დეტროიტი, ინდიანა – მილუოკი.

დასავლეთი. ოკლაჰომა – მემფისი, პინეტონი – გოლდენ სტეიტი, ლივერპოლი – მინესოტა, დენვერი – კლივლენდი.

სერვის პირველი მატჩი ორლანდომ ბოსტონთან 86:103 წააგო, გოგა ბითაძეს კი მხოლოდ წუთნახევრით მიეცა თამაშის საშუალება და შეხვედრა მშრალი სტატისტიკით დასრულდა.

ჰოკეი

ნკლ. პლეი ოფის პირველი რაუნდის წყვილები. **აღმოსავლეთი.** ვაშინგტონი – მონრეალი, კაროლინა – ნიუ ჯერსი, ტორონტო – ოტავა, ტამპა – ფლორიდა. **დასავლეთი.** ვინიპეგი – სენტ ლუისი, დალასი – კოლორადო, ედმონტონი – მინესოტა, ლოს ანჯელესი – ედმონტონი.



სუპერპულის სააღდგომო მიღწევა

ლაჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში გამართული ტრადიციული სააღდგომო ლელობურთი ზემოურბმა მოიგეს, საუკუნოვანი მოვლენის გვირგვინად კი გინესის არაერთგზის რეკორდსმენის გომეზი მახარაძის დამყარებული მორიგი მიღწევა იქცა, რომელიც ოქტაგონის ქართველ ვარსკვლავებს ალექსანდრე და ილია თოფურიებს, მერაბ დგალიშვილსა და რომან დოლიძეს მიუძღვნა.

200 მეტრზე ფეხბურთის ბურთის თავით კენჭვლა – 37,7 წამში (ძველი რეკორდი – 49,87 წამი 2022 წელს ბოლნისში დამყარდა).

კალათბურთის ბურთის თავით კენჭვლა – 51,8 წამი (დებულებით 1 წუთზე ნაკლებ დროში უნდა გაერმინა).

ლელობურთის ბურთი, რომლის წონაც 16 კილოგრამი და 400 გრამია, თავზე გაიჩერა და 50 მეტრზე გაიქცა 25,66 წამში (ძველი მიღწევა გახლდათ 32,3 წამი).

სიზჟის კასი

ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებულმა **ლაშა ზამაძურმა** ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ვერცხლი ინტერვიუ მისცა, სადაც ქართველმა ლეგენდამ მის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეულ წარმატებაზე გააკეთა კომენტარი. „ძიუდო საქართველოში ძალიან პოპულარული სპორტის სახეობაა და ეს ოლიმპიანე ასე იყო, ალბათ იმიტომ, რომ მეტროპოლიური ვარ. მისარია, რომ პირველი ვარ, ვინც ამ სპორტში ორჯერ მოახერხა ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.



პირველი ოლიმპიადის მოგებაზე ვთქვი, რომ ჩემი სურვილი იყო ოთხჯერ ოლიმპიური ჩემპიონობა, რაც აქამდე არავის გაუკეთებია და ასე თუ ისე ელოდნენ ჩემს მეორედ ჩემპიონობას. რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, ვისაც არ სჯეროდა, მაგრამ როდესაც რაღაც გულით მინდა, იმისთვის ყოველთვის ყველაფერს ვაკეთებ. მეორედ მოგების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, ხალხის დამოკიდებულება. მაგვებისგან და გულშემატკივრებისგან დიდ სიყვარულს ვგრძნობ, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ოლიმპიადისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადები, ჩემი რიტუალები მაქვს, რომელსაც ვას-

რულებ ხოლმე. პარიზში ოლიმპიადის წინა დღეს კარგად მეძინა, ტურნირის კარგად შევხვდი და მოლოდინს ისე მივყავი როგორც მინდოდა. არასდროს აქვს მნიშვნელობა მოწინააღმდეგე ვინაა, რადგან ყველანი ჩემი ოცნებების და მიზნების წინააღმდეგ არიან. შესაბამისად ჩემი ოცნებების და მიზნებისთვის ყველა ოპონენტის დამარცხებაა საჭირო. ფინალში მურათთან მომინია ბრძოლა, მასთან ფსიქოლოგიური უპირატესობა მქონდა, რადგან სამჯერ დამარცხებული მყავდა, ამიტომ ფინალში ის უფრო ნერვიულობდა. ძალი-

ან დაძაბული და სანახაობრივი ჭიდაობა გამოვიდა. როდესაც ავებ და შემდეგ ბრუნდები გამარჯვებაც უფრო სასიამოვნოა. ამ დროს ფინალის მოგება ორმაგად სასიამოვნო იყო. აშშ-ში გასამართავი ოლიმპიადისთვის განსაკუთრებულად ვემზადები. მინდა ჩემი ქვეყნისთვის რაღაც დიდი და განსაკუთრებული გავაკეთო. მსურს ჩემი პოტენციალი მაქსიმალურად ამოვწერო და სანამ შემიძლია არ გავჩერდები. მინდა ჩემი ხალხისა და მომავალი თაობის მოტივაცია ვიყო. დიდი სურვილი მაქვს ჩემს მაგალითზე მეორე ახალგაზრდა გაიზარდოს, რომლებიც არათუ დიდი სპორტსმენები, არამედ დიდი ადამიანები გახდებიან.

მართლმორაგმეთა და ქომაგთა დიდი ხნის ოცნება ახლა: საქართველოს 15-ქალა ნაკრები ოფიციალურად დაიბადა. 2025 წლის 18 აპრილს ჩვენმა გუნდმა პირველი ნაბიჯი გადადგა და ყაზახეთის ნაკრებთან ქუთაისის „აია არენაზე“ ამხანაგური მატჩი მოაწყო. ყაზახეთის ქალთა ნაკრებმა პირველი თამაში ჯერ კიდევ 1993 წელს გამართა და მის ანგარიშზე უკვე 80-მდე ოფიციალური თამაშია. ის ქალთა მსოფლიო თასის ნ-გზის მონაწილეა, ორჯერ მე-9 ადგილი დაიკავა და ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მე-18 ადგილზეა (66 გუნდს შორის). ამის საპირისპიროდ, არა მხოლოდ ნაკრებმა, არამედ ზოგადად ჩვენმა გოგონებმა, 15-ქალა ნაკრები პირველად ითამაშეს და ამის კვალობაზე შედეგიც აბსოლუტურად მისაღებია – 5:47.

საქართველოს ნაკრების ისტორიული, პირველი ლელო მანონი საღარაძემ 26-ე წუთზე გაიტანა და იმ მომენტისთვის სხვაობა 10 ქულამდე დაიყვანა.

„ყველა ჩვენთაგანისთვის ძალიან ემოციური დღე იყო. სულ გვინდოდა, რომ ჩვენი შესაძლებლობები 15-ქალა ნაკრებში მოგვეჩვენა და ეს ოცნება აგვიხდა. თამაშში სულ რაღაც 2-კვირიანი მომზადება გავიარეთ, მაგრამ დღევანდელმა დღემ გვაჩვენა, რომ 15-ქალას თამაშზე შეგვიძლია. ძალიან ემოციური იყო ნაკრების კვარტით პირველი ლელოს გატანა, მით უმეტეს, რომ ამ დროს ანგარიში სულ რაღაც 0:15 იყო და თამაში დაიძაბა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენი პირველი შესხვედრა იყო, ყაზახებს ძალიან გაუჭირდათ და დარწმუნებული ვარ, 24 აპრილს უკეთესი საპასუხო თამაში გვექნება“ – აღნიშნავს მანონი საღარაძე და განაცხადებს: „გოგონებს აქამდე მხოლოდ 7-ქალა გვექონდა ნათამაშები და ადაპტაცია გავგიჭირდა. 7-ქალაში ბურთი უფრო ხშირად გაქვს, სივ-



პირველი ფურცელი

რცეები მეგრად მეტია და მეტს დარბიხარ, მოედანზეც მხოლოდ 14 წუთი ხარ, აქ კი მეფერი რამ განსხვავებული იყო. ჯერ მარტო მოედანზე 80 წუთით ყოფნას სხვა ფსიქოლოგიური მომზადება ჭირდება. გარდა ამისა, დიდი დროის გატარება გვიწევდა უბურთოდ, რასაც არ ვართ მიჩვეული. 15-ქალა მეგრად უფრო რთული სათამაშოა, თუმცა უფრო სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც პატარა სივრცეში გაძვრები. ახლა ვიცი, როგორ უნდა ვითამაშოთ და დარწმუნებული ვარ 24 აპრილს უკეთესი თამაში გვექნება. გოგონებს 15-ქალა ძალიან მოგვეწონა, დავინახეთ, რომ შეგვიძლია და იმედია მომავალში მეტი თამაში გვექნება“.

ქუთაისის „აია არენაზე“ ისტორიული თამაშის სანახაოდ მოელი ქვეყნიდან უამრავი გულშემატკივარი მივიდა. მათ განსაკუთრებული ატმოსფერო შექმნეს, რამაც გოგონებზე განუზომელი შთაბეჭდილება დატოვა: „მოედანზე რომ გავედით და ამდენი გულშემატკივარი დავინახეთ, ყველაფერი დაგვაგინდა. აქამდე არასდროს გვექონია იმის ფეხვრება, ასეთი რაოდენობის ქართველი გულშემატკივრის წინაშე გვეთამაშა. ყველა იმაზე ფეხიერობდით, რომ მაქსიმუმი გავ-

ვეკეთებინა და მათი იმედი არ გავცერებინა. ისინიც ბოლომდე გვერდში გვედგნენ და მთელი 80 წუთი საქართველოს სკანდირებდნენ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მთელი სტადიონი ჩვენს გვერდით იდგა და არც ჩვენ გვექონდა გაჩერების უფლება. ცალკე საოცრება იყო საქართველოს ჰიმნზე დგომა“.

საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრებები 24 აპრილს კიდევ ერთ თამაშს გამართავენ და მანონი საღარაძე დარწმუნებულია, რომ ხარისხი და შედეგი მეგრად უკეთესი იქნება:

„ეს იყო პირველი თამაში, არ ვიცოდით რა უნდა გავეკეთებინა და რას ნარმოადგენდა მეტოქე. ახლა გვექნება ვიდუოდანხილები და დარწმუნებული ვარ 24-ში მეგრად უკეთ ვითამაშებო. შერკინებას პრობლემები არც აქ ჰქონდა, მაგრამ ხაზზე ბურთი არ გამოდიოდა. სწორედ ამაზე ვიმუშავებთ, მეგრად მეტი კომპინაცია გვექნება და იოლად არაფერს დავთმობთ.“

ჩვენ ძალიან მაგარი გოგონები გვყავს. აქამდე საერთაშორისო ტურნირებზე სულ 12-ნი მივდიოდით, ახლა კი მეგრად მეტი შევიკრიბეთ და ეს ინტერესსაც გაზრდის. ახლა მეგრად მეტ გოგოს ექნება შესაძლებლობა ითამაშოს საქართველოს სახელით, რაც კონკურენციას გაზრდის და დარწმუნებული ვარ, სულ მალე ქართველ ქომაგს გამარჯვებშითაც გავახარებთ“ – ამბობს მანონი საღარაძე.

სანიშნო კაცობით და უბრალოებით გამორჩეული ისტორიკოსი

8 აპრილს 100 წელი შესრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის **შახტანოვ ჰან-ალაშას** დაბადებიდან.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მისი მოღვაწეობა მრავალმხრივ სანიშნო და სამაგალითო იყო.

სენაკის მაზრის მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი ჯაბუკი დიდი სამამულო ომის დღეებში საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სახლიდან გაიპარა და მოხალისედ მათუბში ჯარისკაცთა საწვრთნელ მაზრაში მივიდა, სადაც 1945 წლის 9 მაისმა მოუსწრო. სწორედ აქედან მოაშურა თბილისის უნივერსიტეტს და სიცოცხლის ბოლომდე აქ ემსახურა სამამულო მეცნიერებას, მომავალი განათლებული თაობების, ჭეშმარიტი პატრიოტიზმით შთაგონებული ახალგაზრდობის აღზრდას.

ვახტანგ ჯანჭღავას უმაღრეს ღირსებას მაშინდელ სინამდვილეში სამშობლოს უანგარო სიყვარული და მისი დამოუკიდებლობისათვის ღვანა წარმოადგენდა.

ძნელ და მრავალმხრივ საგანგაშო ვითარებაში ბატონი ვახტანგი ერის სადარაჯოზე ღირსეული პიროვნებების გვერდით იდგა.

ასე იყო 1956 წელს, როცა საქართველოში ეროვნული ღირსების შეღავის მცდელობამ მთელ ქვეყანაში წარმოუდგენელი მდგომარეობა გამოიწვია.

გენელი მღელვარება გამოიწვია. ასე იყო 1978 წელს, როცა ქართული იდენტობის მოსპობის მეორე მცდელობისას უნივერსიტეტიდან მთავრობის სახლისკენ დაძრული ახალგაზრდობის განწყობას იზიარებდა და მათ წინადახედული სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.

ასე იყო 1989 წლის აპრილის დღეებში, როცა სამშობლოს დაღუპვა ემუქრებოდა.

და შემდგომაც საქართველოს მომავალი ძნელმდგომის წლებშიც და, საკუთრივ, მაშინ, როცა უნივერსიტეტის წინააღმდეგ ნაციონალური მოძრაობის მეთავეებმა გააფრთხილეს ბრძოლა გააჩაღეს, ბატონი ვახტანგს სამშობლოსა და უნივერსიტეტის პატრიოტთა შორის ვხედავდით.

და სწორედ მაშინ, 2007 წლის ნოემბერში მიმდებარე დაღდასმული განცხადება ამ წუთისთვის.

რაც შეეხება მის აკადემიურ და ორგანიზატორულ საქმიანობას: ვახტანგ ჯანჭღავას, უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორი, წლების განმავლობაში უძღვებოდა თბილისის უნივერსიტეტის პროფკავშირულ ორგანიზაციას და უშუალოდ ეხმარებოდა თანამშრომლებსა და სტუდენტებს ცხოვრების საკეთილდღეო საქმიანობის მოგვარებაში.

როდესაც დაიწყო ხრუშჩოვისეული მოძრაობა ციმბირში ყაშირი და ნასვენი მიწების, ათვისების მიზნით – ბატონმა ვახტანგმა, როგორც პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, საჭიროდ ჩათვალა სტუდენტთა პირველი



„მასიური მივლინებისთვის“ ხელმძღვანელა და შორეულ ციმბირში „გადასროლილ“ ახალგაზრდებს საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად დახმარებოდა.

ბატონი ვახტანგს გამორჩეული სიკეთე მაშა-შაპისეული გენიდან მოსდგამდა და როგორი კეთი-

ლი ურთიერთობითაც გამოირჩეოდა საზოგადოებაში, ასეთივე მისაზრდა და სამაგალითო ოჯახს შეთავაზებდა. მას განსაკუთრებით უყვარდა ერთი ქალი, თავისი მესაილუმლე და თანამოაზრე, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ერთგული თანამგზავრი, ზნეკეთილი ქალბატონი ეთერი. გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა ერთადერთ ვაჟთან – სერგოსთან. დღეს მისი შთამომავლები ასეთივე სიყვარულით და შესაშური რუდუნებით მიაგებენ პატივს ბატონი ვახტანგის ხსოვნას.

ცალკეა აღსანიშნავი საქართველოს ისტორიის კათედრაზე მის „ირგვლივ გამეფებული სასიამოვნო აურა“ და მისი იგავითუნდობლად კეთილი დამოკიდებულება და ურთიერთობა კოლეგებისადმი. აი, ამონარიდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული მისი მეგობრების წერილიდან, როდესაც ბატონი ვახტანგი 2007 წლის ნოემბერში გარდაიცვალა:

„40 დღე კი არა, 40-ზე მეტი წელიც რომ გავიდეს ჩვენი ვახტანგის გარდაცვალებიდან, ვინც მას იცნობდა, ვერასოდეს დაივიწყებს... ხოლო შემდგომ თაობებს, მისი დიდებული ოჯახის წარმო-

მადგენლებს, ნათესავებისა და მეგობართა ოჯახების შთამომავლებს მუდამ ეცოდინებათ მეტად გამორჩეული, ყველასაგან განსხვავებული, თვითმყოფადი, თავისუფალი კაცური კაცი, ძველი კოლხური გმირების გენის მატარებელი, ჩვენი ძმობის შემკვერელი მეგობარი, ჩვენი ვახო – ვახტანგ ჯანჭღავას – დიდებული, მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი, სულიერი და ფიზიკური სიჭანსალით ყმაწვილკაცობიდან გამორჩეული... თანაკურსელებსა და შემდეგ ჩვენში, უნივერსიტეტულ მეგობრებსა და კოლეგებში, ერთგულებით, სიბოროთი და ერთი შეხედვით ბუმბერაზი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, საოცარი, მართლაც შესანატრი უბრალოებით გამორჩეული იყო“...

აი, უკვე 100 წელიწადისა და ვახტანგ ჯანჭღავას დაბადებიდან და, ჩვენ, მისი მეგობრები და უმცროსი კოლეგები, საზოგადოებას ვახსენებთ და დღევანდელ თაობას ვაცნობთ ნაღვანს იმ კაცისა, რომელიც მათ შორის იყო, ვისი მხრებითაც გამოიარა ჩვენმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა წარმატებებით აღმჯდარი მნიშვნელოვანი და ამავე დროს მძიმე წლები.

როინ მატრეველი, ნათელა შანაძე, ზაზა აბაშიძე, თეიმურაზ ხუროძე, ჯაბა სამუშია, ავთანდილ წონაშელაშვილი, ბარბანდ შანაძე, მერაბ შანაძე, ზურაბ მაჩიბაძე, ბრანდი ძაბთარია, თედო ღუნდუა, ვახტანგ გურული, გიგა ბელაშვილი, გივი შიშილაძე, სპარტაკ ძოშულია.

საქართველოში მომხდარი გაქვალის ფაქტები

დაკავშირებით ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წარსულში ნასამართლევი ორი პირი დააკავეს. შს-ს ინფორმაციით, განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1992 წელს დაბადებული პ.ქ. ხოლო 1998 წელს დაბადებულ ნ.ქ.-ს ბრალად დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება.

„დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 20 აპრილს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1979 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს ცივი იარაღით სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად გ.ბ. კლინიკაში გადაყვანის შემდგომ გარდაიცვალა.“

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე დააკავეს. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მკვლელობის ფაქტს შეესწრო ნ.ქ., რომელმაც დანაშაულის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა – აღნიშნულია ინფორმაციაში.

დაკავებულია კიდეც

18 სამართალდამრღვევი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს. უწყების ცნობით, დაკავებულია 18 პირი. დანაშაულები 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკ-

ვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი, საცხოვრებელი სახლების, ავტომობილებისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს, მათ შორის: ავტომატები, პისტოლეტები, რევოლვერები, სანადირო თოფები, ხელყუმბარები, მჭიდები, დიდი რაოდენობით ვაზნები, რამდენიმე ამფეთქი ფალია და კაფსულ-დენატორები. პოლიციის მიერ, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“ და რეგისტრაციის წესების დარღვევით დამონტაჟებული „ლენტური ხერხი“.

ახმატაში მომხდარი გაქვალის ფაქტები

დაგნაშავეს შინაგან საქმეთა

სამინისტროს პაქსი

გამოძიება განგრახს გაქვალის ფაქტის მხედონა-რეშვნა.

კახეთში ახალგაზრდა მამაკაცი 19 აპრილის ღამეს მოკლეს. ადგილობრივების ინფორმაციით, ა. ჯ.-ს უცნობმა პირმა საკუთარ საცხოვრებელ სახლთან რამდენჯერმე ესროლა, შემდეგ კი ადგილიდან მიიშალა. მიღებული დაზიანებებით ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

„მეგობრებს ელაპარაკებოდა, ვიდაცვამა გამოიარეს და ესროლეს. ვინ ესროლა, არ იცინა, კაპიუშონებით იყვნენ, ასე თქვეს და ვერაფერ ვერ იცნო“, – აცხადებს ადგილობრივი.

მამა და შვილები ტაში დაიხრჩუნნენ!

ტრაგედია ქვემო ხოლმანში. მამა და შვილები ტაში დაიხრჩუნნენ.

ახლობლების ინფორმაციით, გია ბურნაძეს და მის შვილებს ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ. დაღუპულები, საგარეოდ, სათევზაოდ იყვნენ წასულები...



ჯარ ორ მანქანას შეეჯახა. შემდეგ კი.

გზის პირას გორაკს...

მარნეულში ავარიას ახალგაზრდა გზის სიძოცხლე ემსხვერპლა.

ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ ყიზილბაშის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. „ოპელის“ მარკის ავტომობილმა კონტროლი დაკარგა, ჯერ ორ ავტომობილს შეეჯახა, შემდეგ კი გზის პირას გორაკს. დაღუპული 20 წლის მეჭმედ მაირაშვილია.

გურჯაანში მომხდარი

გაქვალის დროს შემთხვევითი

გაქვალის დაიჭრა!

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუბლაყში კაცი მოკლეს. ადგილობრივების თქმით, მკვლელობა გვიან ღამით მოხდა, მოკლულია 31 წლის დ.ქ.

სროლის დროს დაიჭრა ადგილზე მყოფი ახალგაზრდა მამაკაციც, რომელიც შემთხვევითი გამვლელი იყო. ექიმის თქმით, მას ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო დახმარება და საავადმყოფო უკვე დატოვა.

უკიდური შემთხვევა კახეთში

ლაგოდეხში, არხში მამაკაცი ჩაგარდა და დაიღუპა. ადგილობრივების ინფორმაციით, საგარეოდ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მამაკაცს თეხი დაუცდა და წყლიდან ამოსვლა ვეღარ შეძლო.

მტკვარში ახალგაზრდა

ჩაპარდა და დაიღუპა...

გავრცელებული ინფორმაციით, მტკვარში ახალგაზრდა ჩაპარდა, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა.

ის ლუკა გომარელია. სამწუხარო ინფორმაციას გარდაცვლილის მეგობრები და ახლობლები სოციალურ ქსელში ავრცელებენ. როგორც ირკვევა, დაღუპულს დედა ემიგრანტი ჰყავდა, რომელიც ამ გრაველის გამო სამშობლოში ბრუნდება.

პეტრე ბერაიას გაგოსათხოვარი

სანმუშაო, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 78 წლისა გარდაიცვალა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომელი, ფოთის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, ფოთის ნავსადგურის ყოფილი უფროსი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ქვეყნის საზღვაო კოდექსის შემქმნელი, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით გამოჩენილი, შინაგანი კოლხური კულტურით დამზენებელი პიროვნება **პეტრე ბერაია**.

დაიბადა ქ. ფოთში 1946 წლის 24 ოქტომბერს, დაამთავრა ოდესის საზღვაო-საინჟინრო ინსტიტუტი საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტისა და საზღვაო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ინჟინრის სპეციალობებში, მისი მოღვაწეობის გზა ყველა პერიოდში უშუალო კავშირშია საზღვაო საქმესთან, რომელიც მან განვლო რიგობით მეზღვაურიდან, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსამდე და ქალაქის ხელმძღვანელობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნავსადგურის მეზღვაურად, სამუშაოთა მწარმოებლად, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, საზღვაო სანაოსნოს შორეული ცურვის გემებზე კაპიტნის პირველ თანაშემწედ, ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანად, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსად, ქ. ფოთის საქალაქო კომიტეტის მეთაურად, შემდეგ – პირველ მდივანად.

პეტრე ბერაიას ინიციატივით ფოთში ექსპლუატაციამდე შევიდა საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი, რომელიც დღესაც ნავსადგურის ყველაზე უფრო მდგრადი, ეკონომიკურად მომგებიანი მთავარი ტერმინალია.

ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში პირადად მისი თაოსნობით წარმოება „კუნძულის“ სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ქალაქში გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. კეთილმოწყობილი პირობები ნაგებობა, საზღვაო სანაპირო, ასევე 9 აპრილისა და სხვა სანაპირო ხეივანები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ქალაქს. გაკეთდა 20-მდე სპორტული მოედანი, მოწყობილია 12000-ნომრიანი საბავშვო-საკომუნალური ტერმინალი, შეიქმნა ახალი საჯარო კლუბი „ნანა“, სამხატვრო-საგამოფენო დარბაზი, სრულიად ახალი სახე მიეცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

საზღვარსა და ადინიზაციის თვით საზღვაო ვაჭრობის უიშვიათესი ნაგებობა. ეს იყო და დღესაც არის ლაზარე არქიტექტურული შენობა, რომლის ანალოგი შავი ზღვის ნავსადგურებში არ დგას!

1995 და 1999-2002 წლებში პეტრე ბერაია ქალაქის მოსახლეობის რჩეული იყო ორი მოწვევის საქართველოს პარლამენტში, როგორც ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი. ის გახლდათ საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატების საპარლამენტო ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარე, ეროვნული თანხმობის ხელშეწყობის დროებითი საპარლამენტო



კომისიის წევრი, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი, შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი საპარლამენტო დელეგაციის წევრი, დიდ ბრიტანეთში საქართველოს მუდმივმოქმედი და საპარლამენტო-პროტოკოლის დელეგაციის წევრი.

პეტრე ბერაიას მოღვაწეობაში კარგად არის შერწყმული სამეცნიერო-სამეურნეო და პოლიტიკური საქმიანობა. ამან არსებითად განსაზღვრა მისი მეცნიერულ ინტერესთა სფერო – საზღვაო ტრანსპორტი, საზღვაო ტერმინალები, საზღვაო კანონმდებლობა და სხვ.

ის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, სადაც გარდამავალ პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის აქტუალური პრობლემები განხილული.

როგორც საქართველოს პარლამენტის საზღვაო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, მისი ხელმძღვანელობით მიიღეს „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, რომელიც ითვლება ქვეყნის საზღვაო კონსტიტუციად. აგრეთვე, საქართველოს კანონები „საზღვაო სივრცის შესახებ“, „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“, „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“. ფაქტობრივად, ქვეყანაში პირველად შეიქმნა საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც აისახა საზღ-

ვაო საერთაშორისო სამეცნიერო ეკონომიკურ-სამართლებრივი, სამეურნეო საქმიანობის ყველა სპეციფიკური საკითხი. დაკანონდა სახელმწიფო საზღვაო საზღვრები, პირველად დამოუკიდებელ საქართველოში გაჩნდა ცნებები – „ტერიტორიული წყლები“, „კონტინენტური შელფი“, ეკონომიკური ზონა.

1995 წელს მან ორგანიზება გაუკეთა ფოთის ნავსადგურიდან სამგზავრო, სატვირთო, საზღვაო ბორნით საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გასვლას, სადაც პირველად ჩატარდა პარლამენტის ბიუროს გაფართოებული გამსვლელი სხდომა, რომელმაც განიხილა ფოთის ეკონომიკური განვითარების პრობლემები.

„ზღვის გუმბერატი“, ასე უწოდებდნენ ბატონ პეტრეს კოლეგა პარლამენტარები და ის პრინციპში ხასიათითაც ზღვას ჰგავდა, ხან წყნარი და მშვიდი გერევენოდა, მაგრამ როდის ამოთქმდებოდა, კაცმა არ იცოდა – ვერც მისი „ტალღების“ რაოდენობას დაითვლიდი და ვერც შეუვალი პრინციპულობის ხარისხს ამოიცნობდი...

პეტრე ბერაია 2021 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამეცნიერო-საორგანიზაციო დეპარტამენტში, შავი ზღვის საერთაშორისო სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზღვაო სანაპირო ზოლის, სანავსადგურო აკვატორიების საკითხების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელად, მისი უშუალო ავტორობით დაინერა და გამოიცა ნაშრომი „საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი გარდამავალ და დამოუკიდებლობის პერიოდში“, ხოლო მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცა „საქართველოს შავი ზღვის დე ფაქტო სანაპირო პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები“.

...მხოლოდ ერთი თვე იაპონიამ... მეგობრებმა არც კი იცოდნენ, ასე მძიმე, უკურნებელი სენით თუ იყო ავად... ბოლომდე მხნედ, ლამაზად, გაუკაცურად გამოიყურებოდა... არავისთან დაუწუნებია, ჩუმად განერიდა ამ სევდიან და უბრალო წუთისოფელს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს გარდაიცვალა და ამითაც დავვიდასტურა, რომ მისი მსგავსი ზნეკეთილი ადამიანები სიკვდილის შემდეგ სამოთხეში ინაცვლებენ... მსგეფის მესხეთე დღეს, 24 აპრილს მიიზარებს ფოთის მშობლიური შინა პეტრე ბერაიას ნეშტს! მშვიდობით, დაუმიწყარო მემორიალი!

როინ მებრძოლი, ჯუმაბარ პატიშვილი, ნოდარ ჭითანაძე, დემურ გადელია, ვალერი ასათიანი, ბაკურ გულუა, გონდო ჯიძია, ვიტალი ხაზარაძე, გივი აბდუშელიშვილი, სპარტაკ გოგინაძე, გურამ გუნაძე, ოთარ ჭითანაძე, ვახტანგ ყოლბაია, ბესიკ კილასონია, მამუკა აღაბია, მირზა ძორაშვილი, სპარტაკ ძოგულია, ჯამბულ წულაია, თარილ დგებუაძე, ვახტანგ კიკნაძე, დიმიტრი კოტაშვილი, თამურ კალანდიაძე, დავით ძანთარია, ოთარ ზუმაშვილი, ილია ჭანუყვაძე, მამუკა ვაშაკიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, აკადემიის ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომელი – შავი ზღვის საერთაშორისო უსაფრთხოების, სანავსადგურო აკვატორიებისა და სანაპირო ზოლის ინტეგრაციის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი

პეტრე ბერაია

და სამხიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს
აკადემიის სახელით:

როინ მებრძოლი, რამაზ ხუროძე, თამურ ხუროძე, ვლადიმერ პაპაძე, გიორგი კვესიტაძე, გივი აბდუშელიშვილი, პაატა სურგულაძე, ფელიქს კალანდარიშვილი.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების წევრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ნავსადგურის ყოფილი უფროსი, ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

პეტრე ბერაია

და სამხიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საგოგადოების სახელით:

სპარტაკ გოგინაძე, ჯიმი ძვარცხაძე, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, ბაკურ გულუა, ბესლან ძორაძე, ნათელა ლალიძე, ლიანა წურწუშია, იური გოკუჩავა, ზაურ ლომთათიძე, გულთაზ ლაბარტყაძე, ჯამალ კვირტია.

საზოგადოება „კუს ტა“ ღრმა მწუხარებით იუწყება ამ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის

პეტრე ბერაიას

გარდაცვალებას და სამხიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ჩინებული პროფესიონალი და ერთგული მეგობარი

პეტრე ბერაია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

